# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 5 ივლისი. 2016 წ. №123 (8015), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


# მკვლელები და მწამებლები ციხეში უნდა ისხდნენ და არა – პარლამენტში!

**შენ, გულგრილო ამომრჩეველო, სანამ ბიულეტენს ურნაში ჩააგდებდე, იცოდე:**

სულხან მოლაშვილის წამებით ფაშისტებთან წილნაყარმა ნაციონალებმა მთელი საქართველო აწამეს და რაც ხელისუფლებაში წინა ათწლიანი ძალადობით დაგვაკლეს, ახლა უკვე 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში წარმატებით ცდილობენ იმის ასმაგად ანაზღაურებას!

შენი ბედი შენსავე ხელთ არის! ტკბილტკბილმა დაპირებებმა აღარ უნდა გაცდუნოს, გონიერო, მაგრამ გულგრილო ამომრჩეველო!




4 5


**იოსებ ბარათაშვილი:**

## პირსისხლიან „სამართალს“ ზვარაკად შეწირული სიცოცხლე

**თეიმურაზ ქორიძე,**

ჩვენი ექსპერტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

დარწმუნებული ვარ, ქართველ ხალხს აქვს იმდენი ძალა და თავმოყვარეობა, რომ სულხან მოლაშვილის სახელით ნაცმოძრაობა სამუდამოდ დაასამაროს. თუ ამას ვერ შევძლებთ, მაშინ ნაცმოძრაობა დაასამარებს საქართველოს და ქართველ ხალხს!





# ამერიკა 240 წლისაა! გილოცავთ!



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ქართველი ხალხის სახელით პრეზიდენტ ბარაკ ობამას ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს.

**„თქვენო აღმატებულებავ,**

მოხარული ვარ, გადმოგცეთ ჩემი გულითადი მილოცვა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

მოხარული ვარ, კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თქვენს ქვეყანასთან, როგორც ჩვენ მტკიცე მოკავშირესთან, მეგობრული და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების განვითარებას.

ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის გათვალისწინებით, დარწმუნებული ვარ, რომ ერთობლივი ძალისხმევა თანამშრომლობის შემდგომი გაგრძელების და გაძლიერების მეშვეობით მიგვიყვანს წარმატებულ მიღწევებამდე ჩვენი ერების საკეთილდღეოდ.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით და მსურს, მადლობა გადაგიხადოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის გზაზე გაწეული მხარდაჭერისათვის, ასევე საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ჩვენი ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის და ევროატლანტიკური მისწრაფებისადმი ურყევი პოზიციისათვის.

თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემა და საუკეთესო სურვილები თქვენს საქმიანობაში მეტი წარმატების, ასევე მეგობარი ამერიკელი ხალხის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის“...




7


**სოზარ სუბარი:**

## მძიმე მდგომარეობაში მყოფი ყველა დევნილი 2 წელიწადში ბინას მიიღებს!

# მორიგი ბლეფი ანაკლიაში!

**ახალი საპარლამენტო ავაზაკების შერჩევას სჯობს, ანაკლია მოსალოდნელი საშიშროებისგან ვიხსნათ!**




3


## ჩატაევსა და მის მფარველ სააკაშვილზე ჯერ კიდევ ჩატაევის გათავისუფლებამდე მქონდა კითხვები...


2


## „სააკაშვილო, რატომ აფინანსებდი ტერორისტებს?“


7

◎ ბედის ირონია?

# აჭარის „დედოფალი“ დაბრუნდა!

## ნაცსექტანტ ვარშალომიძის „ტრიუმფი“ ნაადრევია



**აჭარის მთავრობის ყოფილი მეთაურის ლევან ვარშალომიძის საქართველოში ჩამოსვლას სარფში მისი მხარდამჭერები ზარ-ზეიმით შეხვდნენ. რა თქმა უნდა, ისევ ის ნაციონალები, რომლებიც ჯერ კიდევ გმინვით მისტირიან ყოფილ ხელისუფლებას. თუმცა, არიან სხვაგვარად მოაზროვნენიც. მაგალითად, ერთ-ერთმა მოქალაქემ ვარშალომიძეს ფეხსაცმელი ესროლა, რომელიც ხულიგნობის მუხლით დააკავეს... „გული ამერია, დამეკარგა ბათუმში წასვლის სურვილი, თუკი იქ ასე მარტივად მოაზროვნე ამდენი ადამიანი ცხოვრობს“, — განაცხადა ერთ-ერთმა უპარტიო მოქალაქემ...**

სხვათა შორის, ძალიან საგულისხმო კომენტარი დადო თავის ფეისბუქის გვერდზე უფლებადამცველმა ნიკოლოზ მჟავანაძემ: „ ეს არის ბედის ირონია... იმ დროს, როცა მთელი საქართველო აეროპორტში ელოდებოდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ წამებულ სულხან მოლაშვილის ცხედარს, სარფში სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენელს ლევან ვარშალომიძეს ელოდებიან ნაცხროვის მომხრეები და ტრანსპარანტებით „ჩვენ დავბრუნდებით, გაჰყვირიან“.

ჯერ კიდევ 6 მაისს ე. წ. „აჭარის გათავისუფლების დღესთან“ დაკავშირებით ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინიდან დააანონსა, რომ ვარშალომიძე ბათუმში უნდა დაბრუნებულიყო. „8 ოქტომბრის საპარლამენტო და აჭარის რეგიონალურ არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვების შემდეგ, ლევან ვარშალომიძე უნდა დაბრუნდეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ და გააგრძელოს რეგიონის აღმშენებლობის საქმე!“ — ამბობდა ის.

ლევან ვარშალომიძე საქართველოში 4 ივლისს დაბრუნდა, მას „სამკაულად“ რატომღაც სანდრა რულოვსი დახვდა... ვარშალომიძე პოლიტიკურ გეგმებზეც ალაპარაკდა. არჩევნებამდე 100 დღით ადრე ის აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთო — აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ სიის პირველი ნომერი იქნება. მისი განცხადებით, 9 ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ აჭარაში მშენებლობის „ისევ ძველი ტემპი“ განახლდება და ასევე მმართველობის ახალ სტილს დაამკვიდრებს. რაც შეეხება გუნდს, მას იმ ადამიანებით დააკომპლექტებს, ვისაც უკვე გაუკეთებია რაღაც და ვისაც გაკეთების უნარი შესწევს!

ნაციონალების ასეთ აღზევებაში ბევრი „ქართული ოცნების“ ლოიალურობას ადანაშაულებს და კოჰაბიტაციას გაუმართლებლად მიიჩნევს. ალბათ, არის ამაში სიმართლის მარცვალი. კაცი, რომელსაც სულ ცოტა კლანურობას აბრალებდნენ, სათანადოდ უნდა დასჯილიყო, ან გამართლებულიყო. მაგრამ ბრალდებები უბრალო სიტყვებად დარჩა, რომელსაც გაგრძელება არ მოჰყოლია. დღეს კი, „აჭარის დედოფლად“ წოდებული ვარშალომიძე გულზე მჯიღს იცემს და გამარჯვებით იქადნება. ხოლო მისი საყვარელი „ლიდერი“ სადიდგოროოდ ემზადება. ყოფილი პირველი ლედიც იმედიანად არის: „ლევან ვარშალომიძის ჩამოსვლას ჩემთვის სიმბოლური ფორმა აქვს, მიშას ჩამოსვლის საწინდარია“, — განაცხადა მან ბათუმში, პიაცას მოედანზე. ყველა ადამიანს ჰყავს თავისი მხარდამჭერი. თუნდაც ის 1000 ადამიანი, რომელიც ვარშალომიძეს დახვდა, დიდი საშიშროება არ არის თავისთავად, მაგრამ ახლა მთავარია, რას ფიქრობს დანარჩენი აჭარა?! ნაციონალური „ტრიუმფი“, ჯერჯერობით, მხოლოდ ფასადურია!!!

...მშვიდად შეხვდა ამ ფაქტს ხელისუფლება. „ლევან ვარშალომიძე ულიმღამო ლიდერი იყო, — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გია ვოლსკიმ, — თუმცა, მის პიროვნებას არ ვერჩი. ბოდიშს მოვუხდი მის ოჯახის წევრებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ვარშალომიძე არ არის ის ფიგურა, რომელსაც პოლიტიკური ტენდენციების წარმართვა შეუძლია. მას ახასიათებდა კლანურობა, თუმცა, სხვა დამახასიათებელ ნიშანს ვერც ვიგონებ“.

**ვოლსკისგან განსხვავებით, ალბათ, უფრო კარგი მახსოვრობა აქვთ აჭარლებს. მათ ახსოვთ წარსული და ხედავენ აწმყოსაც. შესაბამისად, არჩევანსაც ლოგიკურს გააკეთებენ!**

**თეა მოსია**

◎ მილოცვა

# ღვთიური მშვენიერებითა და ენერგიით აღსავსე...

## ხელოვნების ქურუმი 90 წლისა შესრულდა



ბატონი **ლევან ცუცქირიძე** 90 წლისაა. საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულითადად ულოცავს სახალხო მხატვარს, ბატონ ლევან ცუცქირიძეს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. ამ დიდებულმა მხატვარმა ახალგაზრდობიდანვე წარმოაჩინა თავისი ნიჭიერება. მას არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც კარგად იცნობენ, არაერთხელ ჰქონია სხვადასხვა ქვეყნებში პერსონალური გამოფენა. ამ პატარა გულითად მილოცვაში ვერ ჩატევ ბატონი ლევანის მხატვრული ნააზრევის შეფასებას, მაგრამ ერთს კი ვიტყვით, ბატონი ლევანის შემოქმედება ღვთიური მშვენიერებითა და ენერგიითაა აღსავსე. მის მიერ დანახული მზე, სხვადასხვა ფერის დისკო თუ წრიული მონახაზი სიცოცხლის სამყაროა, სიმღერა ზოგჯერ დამაფიქრებელიც.

მისი წმინდა გიორგის ირიალური, ჰაეროვანი კომპოზიცია, სადაც წმინდა გიორგი ქვესკნელში აგდებს განგმირულ გველეშაპს, ბრწყინვალეა!

ბრწყინვალეა ბატონი ლევანის ფერწერა, ფრესკული მხატვრობა, დაზგური გრაფიკა და არაერთი წიგნის ილუსტრირება.

90 წლის ბატონი ლევანის მაღალმხატვრობას შეფასება არ დაკლებია. ყველაფერ ამის დასტურია ის, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა მან კვლავინდებურად ახალი პერსონალური გამოფენა გახსნა, კულტურის სამინისტრომ „ხელოვნების ქურუმის“ წოდება მიანიჭა. ის მართლაც ხელოვნების ჭეშმარიტი ქურუმია.

დღეგრძელი იყოს ბატონი ლევანი, ჯანმრთელად და მხნედ, რათა კვლავ დიდხანს ემსახუროს თავის საყვარელ სამშობლოს — საქართველოს.

**მერაბ ბერძენიშვილი**

# ჩატაევსა და მის მფარველ სააკაშვილზე ჯერ კიდევ ჩატაევის გათავისუფლებამდე მქონდა კითხვები



იუსტიციის მინისტრმა ახმედ ჩატაევთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა და განაცხადა, რომ ის არასდროს უჭერდა მხარს ჩატაევის გათავისუფლებას და შეკითხვები დღემდე აქვს ყოფილ ხელისუფლებასთან.

**„რაც შეეხება ჩატაევს და მის მფარველ სააკაშვილს, მე ამ თემასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ჩატაევის გათავისუფლებამდე მქონდა კითხვები. რაკი მქონდა კითხვები, ამიტომ მის გათავისუფლებას მივიჩნევდი ნაადრევად. თუმცა, მთავარი პროკურორის მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ იმ კონკრეტული იარაღის უკანონო ტარების საქმეში, რომელზეც მას ბრალი ედებოდა, ბრალი ყოფილიყო მოხსნილი. ასეა თუ ისე, ამ თემებზე დისკუსია კარგია, მაგრამ აუცილებელია, რომ ჩვენ არასდროს დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ, როდესაც საქმე ეხება პანკისს, სახელმწიფო უსაფრთხოებას, თუნდაც სახელმწიფო საიდუმლოების და საიდუმლო აგენტების თემებს, აქ დისკუსია კარგია, მაგრამ მეტისმეტი ენაწყლიანობა ვნებს ქვეყანას, ეს უბრალოდ, რჩევა და თხოვნა მექნებოდა ყველასადმი,“** — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრი ჩატაევის და ყოფილი ხელისუფლების პირების ურთიერთობასთან დაკავშირებით არსებულ კითხვებზე საუბრობს და პირობას იძლევა, რომ ეს საქმე აუცილებლად იქნება გამოძიებული.

# კონფლიქტი საქართველოში - რეზოლუციის პროექტი დამტკიცებულია



**ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკისა და უსაფრთხოების საერთო კომიტეტის სხდომაზე რეზოლუციის პროექტი — კონფლიქტი საქართველოში, დაამტკიცეს. წინააღმდეგი მხოლოდ რუსეთის დელეგაცია იყო. რეზოლუცია ეუთოს კომიტეტის წევრებს დავით უსუფაშვილმა გააცნო. მისი გათვალისწინების შემთხვევაში, საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარდაჭერას კიდევ ერთხელ გამოუცხადებს.**

დავით უსუფაშვილის თქმით, რეზოლუციაში ხაზგასმულია ყველა ის პრობლემა, რაც საქართველოშია და რეზოლუცია მოუწოდებს ყველას, რომ დაცული იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ასევე რუსეთმა ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის აგვისტოს ხელშეკრულება შეასრულოს, შეიარაღებული შენაერთები გაიყვანოს, დევნილებს თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცეთ და რუსეთმა უარი თქვას საქართველოს რეგიონების სახელმწიფოებად გამოცხადებაზე.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის გიგი წერეთლის განცხადებით კი, ასეთი სოლიდარული დოკუმენტის მიღება მნიშვნელოვანია.

# აი, როგორები იყვნენ (და არიან!) თახსირი ნაცები!

## სპეციალური კომპიუტერული ვირუსი, რომლის მეშვეობითაც „ნაციონალების“ დროს ოპოზიციონერთა ოჯახები ისმინებოდა




**რუსული გამოცემა „коммерсант“-ი, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2012 წელს ოპოზიციური პოლიტიკოსების ფარული სატელეფონო მოსმენების გამო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის პატიმრობის შეფარდების ფაქტს ეხმაურება.**

ვანო მერაბიშვილის ყოფილ მოადგილეს შოთა ხიზანიშვილს (1,6 წლით), კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელს ლევან ქარდავას (იგივე ვადით) და იმავე დეპარტამენტის ოპერატიული განყოფილების უფროსს ვაჟა ლილუაშვილს (3 წლით) თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

გამოძიების მონაცემებით, თავიანთი მიზნის მისაღწევად ამ ვაჟბატონებმა კოალიციის ლიდერის, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის დაცვის თანამშრომელი დააშანტაჟეს.

შოთა ხიზანიშვილს ბორკილები პირდაპირ სასამართლო დარბაზში დაადეს, როგორც კი მოსამართლემ განაჩენი გამოაცხადა.

ჩამოთვლილი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი არიან საქართველოს თავდაცვის დღევანდელი მინისტრი თინათინ ხიდაშელი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და დეპუტატი გუბაზ სანიკიძე.

ოთხი წლის წინათ ისინი ოპოზიციის ლიდერები იყვნენ და კოალიციის ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, 2012 წლის პირველ ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას მიაღწიეს. იმ ხანებშივე გამოქვეყნდა ოპოზიციის ლიდერების სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი, რომლის თანახმად, ისინი ერთმანეთის მიმართ უცენზურო სიტყვებსა და არასასიამოვნო ეპითეტებს არ იშურებდნენ. იმ დროს ეს აუდიოჩანაწერი ყველა ქართულმა ტელეარხმა გადასცა ეთერში.

პროკურატურამ ამ „დეტექტიური ისტორიის“ სენსაციური მონაცემები გამოაქვეყნა: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ბიძინა ივანიშვილის დაცვის ერთ-ერთი წევრი ბესიკ სურმავა უცნაურად გაქრა, რამდენიმე დღის შემდეგ კი მან სოციალურ ქსელებში საზოგადოებისადმი ვიდეომიმართვა გამოაქვეყნა და განაცხადა, „ამ აუდიოჩანაწერის გაკეთება ბიძინა ივანიშვილმა საიდუმლოდ მიბრძანა, რომ თანამებრძოლები დაეშანტაჟებინა“.

თვითონ ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც არჩევნების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გახდა, განკარგულება გასცა, რომ მომხდარი ფაქტი გულდასმით გამოძიებულიყო. როგორც გაირკვა, აუდიომოსმენა საიდუმლოდ შოთა ხიზანიშვილმა, ლევან ქარდავამ და ვაჟა ლილუაშვილმა განახორციელეს, შემდეგ ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრი ბესიკ სურმავა შანტაჟითა და მუქარით იძულებული გახადეს, „გამქრალიყო“ და აუდიოჩანაწერი სოციალურ ქსელებში თავისი სახელით გამოექვეყნებინა.

გამოძიებამ ფარული მოსმენების საოცარი ფაქტები აღმოაჩინა: როგორც გაირკვა, სამინისტროს ოპერატიული განყოფილების უფროსი ვაჟა ლილუაშვილი ოპოზიციონერების პერსონალურ პირად კომპიუტერებში გაშვებული სპეციალური ვირუსული პროგრამის მეშვეობით, არამარტო სატელეფონო ლაპარაკს იწერდა, არამედ სახლში წარმოებულ ყველა საუბარსაც.

როგორც „კომერსანტს“ 2007-2012 წლების ოპოზიციური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, კინორეჟისორმა გიორგი ხაინდრავამ განუცხადა, მსგავსი ოპერაციების ჩატარების სანქცია პირადად მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გასცა: **„ამ ჩანაწერებს თვითონ პრეზიდენტი უყურებდა და უსმენდა, შემდეგ კი ჯიბის ტელეკომპანიებს ეთერში აშვებინებდა“,** — აღნიშნა გიორგი ხაინდრავამ.

# მორიგი ბლეფი ანაკლიაში!

**გასული მაისის ბოლოს ქართული მედიასაშუალებები (მათ შორის ყოველგვარი ქართულ-ეროვნული საქმის მოძულე „რუსთავი-2“) იუწყებოდნენ, რომ:**

**„საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატებმა ანაკლიაში ის ტერიტორია დაათვალიერეს, სადაც პორტი აშენდება. ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა ელჩებს ანაკლიის პროექტის შესახებ ინფორმაცია ადგილზე მიაწოდეს და მათ კითხვებს უპასუხეს.**

**შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია ესწრებოდნენ“.**

ბოლო ოთხი წლის მანძილზე ოცზე მეტი სტატია გამოვაქვეყნე სხვადასხვა მედიასაშუალებით. არ დამრჩენია საკითხი, რაც პირდაპირ თუ ირიბად ანაკლიაში პორტის მშენებლობას ეხებოდა. თითქმის ორი წლის განმავლობაში მიმდინარე ტენდერი ფინიშის სწორამდე მივაცილე ორ კონსორციუმთან ერთად და, როგორც იქნა გამოცხადდა გამარჯვებული, მაგრამ?..

მაგრამ, სამწუხაროდ, აქ დამთავრდა „ოცნება“ და კვლავ აქტუალური გახდა კითხვა:

## აშენდება თუ არა ანაკლიის პორტი?

ორწლიანი ხანგრძლივობის ტენდერის შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადებულ კომპანიას არ უნდა გაეჩინა კითხვები, მაგრამ აქაც იჩინა თავი „სამთავრობო ყმაწვილების“ ზედაპირულმა მიდგომამ სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტისადმი და ზემოთ ხსენებული ტენდერის არც ერთი პირობა არ შესრულდა, უფრო მეტიც – ამის გამო სირცხვილის გრძნობაც კი არ გაჩენიათ არც ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ „ხაზარაძე და კონტი ჯგუფს“ და არც მათს ლობისტებს.

ასე მოიარეს ხუთივე კონტინენტი მიმდინარე წლის 5 თებერვლიდან (ტენდერში გამარჯვებულის გამოცხადების თარიღი) პრემიერმა კვირიკაშვილმა, ეკონომიკის მინისტრმა ქუმსიშვილმა და თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ხაზარაძემ ანაკლიაში პორტის ასაშენებელი ფულის სამათხოვროდ, მაგრამ ყველა მხრიდან მხოლოდ „ქების სიგელებით“ დაბრუნდნენ.

ამასობაში სახელმწიფოსთან პორტის აშენების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ვადაც (05.05.2016) ამოიწურა.

**ბუნებრივია, არც მშენებლობა დაწყებულა პირველ ივნისს, როგორც ზემოთ ხსენებული „სამი მუშკეტერი“ იფიცებოდა „ანაკლია პორტის“ ტენდერში გამარჯვებულის გამოცხადების ბრიფინგზე!**

დროებით აქ დავსვამ წერტილს და მკითხველს ვაცნობებ, რომ სანამ ამ სტრიქონების წერას შევუდგებოდი, ენგურის შესართავიდან ჭურიამდე ფეხით მოვიარე ზღვის სანაპირო და ვერსად შევნიშნე პორტის მშენებელთა ნაკვალევი, გარდა ნაპირსამაგრებად წოდებული მძიმეწონიანი, რკინაბეტონის ურჩხულებისა, ნაპირსამაგრი საქმის მცოდნე სპეციალისტების აზრით მისხალი შედეგის მომტანი რომ არ არის!..

ასევე შევხვდი ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც არა მხოლოდ ეჭვის თვალით უყურებს ანაკლიაში პორტის მშენებლობის პერსპექტივას, არამედ უკიდურესად მძიმდება მისი განწყობა არსებული ხელისუფლებისადმი. ყველაფერი ეს კი კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნების წინ ხდება, რაც უამრავ კითხვას ბადებს!

## ბუნებრივია, მეც მაწუხებს იგივე კითხვები:

**ვისი ინტერესებიდან გამომდინარე გამოცხადდა უფულო, უპროექტო, უიდეო და, რაც ყველაზე მთავარია, ადგილობრივი გარემო პირობების უცოდინარი და აბორიგენი მოსახლეობის ინტერესთა ხელმყოფი კომპანია გამარჯვებულად?**

**ხაზარაძეს და მის ლობისტებს ეპატიებათ სამეგრელოს და ანაკლიის პრობლემებში ღრმად ჩაუხედაობა, მაგრამ, როგორ გავიგოთ ადგილობრივი ხელისუფლების, სახელმწიფო ავანტიურისტების მიერ აგორებული ბლეფისადმი აყოლა?**

**ამ უკანასკნელთ მინდა, ვკითხო – სად აპირებთ წასვლას „ანაკლია პორტის“ მშენებლობა რომ ჩაიშლება?**

**ზემოთ ნახსენები – კვირიკაშვილები, ქუმსიშვილები და ხაზარაძეები, როგორც მათი თანამდებობაზე მოსვლამდე არ ჩასულან ანაკლიაში, ისე არც თანამდებობიდან წასვლის მერე იზამენ პირს ანაკლიისკენ, მაგრამ თქვენ სად აპირებთ წასვლას?!**

**ვერც იმას დავმალავ (რომ იტყვიან, ფუი ეშმაკს და რას არ გაიგებ კაცი) – ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები მომავალი არჩევნების შემდეგ პარლამენტში აპირებენო გადაბარგებას!!!**

არჩევნების გახსენებამ კიდევ უფრო დამიმძიმა გუნება-განწყობა. თბილისში რომ ცოტა ვინმეს ახსოვდეს „ანაკლია პორტი“ ნამდვილად არ გამიკვირდებოდა, მაგრამ სამეგრელოში ყველას არჩევნები აკერია პირზე და 12 მილიარდ დოლარად შეფასებული პროექტის დაღუპვა რომ არავის ადარდებს, ეს კარგს არაფერს უქადის ქვეყნის და ამ კუთხის მომავალს!

ამას წინათ, სამეგრელოს ერთ-ერთ ისტორიულ სოფელ კორცხელში ადგილობრივი მნიშვნელობის არჩევნები გაიმართა, სადაც სამი, მათგან ორი – პოზიცია-ოპოზიციის და მესამე კიდევ ერთ-ერთი უდღეური პარტიის კანდიდატი იყრიდა კენჭს. სასწაული ამბავი დატრიალდა კორცხელში – თავპირი დაანგრია ერთმანეთს პოზიცია-ოპოზიციის ნაწილმა. სამწუხაროდ, მე ამ პროცესის თვალყურის მიდევნების საშუალება არ მქონია, მაგრამ, მეორე დღეს ჩემი ტელეფონი არ გაჩერებულა, კუთხე არ დარჩენილა საქართველოში, ზარი არ შემოსულიყო – დედა არავისთვის უგინებიათ, მაგრამ დედა დაულოცეს იმათ დამბეგვავებს, ვისი დასისხლიანებული სახეები და უკანალზე დაგდებული მძორები გაასაჯაროვა „რუსთავი 2“-მა, თან, როგორც ყოველთვის, სამეგრელოს და მეგრელების დადანაშაულება სცადა ამ სიბინძურის მთესველმა!

**არ გაამართლა, არ იმუშავა კორცხელში დადგმულმა სპექტაკლმა, რადგან ყველასათვის ცნობილი იყო, სამი ნაციონალი რომ მონაწილეობდა არჩევნებში, სამი უჯიშო და უეროვნებო პარტიის სახელით. ამიტომ ბეგვეს ისინი, ვისაც უამრავჯერ მოუწევთ სამართლიანი ხალხის სამსჯავროზე წარსდგომა და იგივე სასჯელის მიღება, ვიდრე ყველანი ერთად, პატიებას არ თხოვენ და მუხლს არ მოიყრიან იმათ წინაშე, ვისაც ათი წლის მანძილზე ღირსება შეულახეს, პატივი აჰყარეს და პროტესტის გამოთქმის უფლებაც არ დაუტოვეს!..**




აქ ვამთავრებ მთავარი თემიდან უსიამოვნო გადახვევას. ხალხი და უფალი მიაგებს სამაგიეროს ყველას, ვისაც ნდობა გამოუცხადა და არ შეასრულა, იმათაც, ვინაც ათი წლის მანძილზე ფეხქვეშ გათელა ადამიანის და ქვეყნის ღირსება და კვლავ მის სათავეში მობრუნებას და დარჩენილი იმედის ამოშანთვას აპირებს!

**კიდევ ერთხელ ვიმეორებ – ქვეყანას და მის მოსახლეობას, რომელიც კრინტს არ ძრავს 12-მილიარდიანი პროექტის ფაქტობრივ დაღუპვაზე და კარსმომდგარ არჩევნებში ქვეყნის ახალი მძარცველების შერჩევაზეა გადართული, მომავალი არა აქვს!**

როცა ამ თემაზე საუბარი დავაპირე სამეგრელოს ე.წ. ინტელიგენციასთან, მათ ერთსულოვანი დუმილით მიპასუხეს – „ჩვენი თქმა რას უშველის, ჩვენ ვინ გვეკითხებაო!“

## მაშინ, მე ვსვამ მათ მაგივრად კითხვებს:

**1. ანაკლია პორტის ტენდერის პირობებით, ტენდერში გამარჯვებულს წინასწარვე უნდა ჰქონოდა პროექტის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი შესაბამისი საბანკო გარანტიებით დადასტურებული. რატომ დაეძებს პროექტის დამფინანსებელს კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის ტრიო ტენდერში გამარჯვებულის გამოცხადების შემდეგ?!**

**2. რა სტატუსით დაჰყვებიან კვირიკაშვილ-ქუმსიშვილი ხაზარაძეს ფულის საშოვნელად? დიდი ალბათობით ისინი ამ წლის ბოლოს იმ თანამდებობებზე არ იქნებიან რასაც ახლა იკავებენ, რა ურთიერთობა ექნებათ მათ მომავალში ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან?!**

**3. ტენდერში გამარჯვებულს, ამ უფლების მინიჭებიდან არაუგვიანეს სამ თვეში უნდა მოეწერა ხელი სახელმწიფოსთან პორტის აშენების ხელშეკრულებაზე. ეს ვადა 5 მაისს გავიდა. რატომ დაირღვა ეს პირობა?!**

**4. ტენდერში გამარჯვებულს მიმდინარე წლის პირველ ივნისს უნდა დაეწყო პორტის მშენებლობა. სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტენდერის პირობებით ეს ვადაც დაირღვა და იგი მომავალი წლის ამ დრომდე არ დაიწყება მრავალ მიზეზთა გამო, რასაც სტატიის დასკვნით ნაწილში მოგახსენებთ. ვინ უნდა მოსთხოვოს პასუხი ამ დარღვევაზე ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ კომპანიას?**

**5. რა ბედი ეწია 3 მილიონ დოლარს, რომელიც ტენდერში მონაწილეს ზემოთ ხსენებული პირობების დაცვის საგარანტიოდ უნდა დაედო და ამ პირობების დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფოს ბიუჯეტში უნდა გადარიცხულიყო?**

**6. მიუხედავად უამრავი შენიშვნა-შეკითხვისა, რომლებზეც დღემდე არ მიგვიღია პასუხი, რა აუცილებლობიდან გამომდინარე მიადგა ტენდერში გამარჯვებული ანაკლიის აბორიგენ მოსახლეობას გასასახლებლად, როცა დიდი ხანია, არსებობს საერთაშორისო ექსპერტების (Ernst & Young) მიერ მოწონებული პროექტი, რომელიც მაქსიმალურად ხელშეუხებელს ტოვებს დასახლებულ ტერიტორიას და მისი ინფრასტრუქტურული განვითარების უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს?!.**

ზემოთ ვახსენე, რომ მშენებლობა პირველ ივნისს უნდა დაწყებულიყო... სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტენდერის პირობებით, ეს ვადაც დაირღვა და იგი მომავალი წლის ამ დრომდე არ დაიწყება-მეთქი მრავალი მიზეზის გამო!

მოვუსმინოთ ბატონ ნოდარ წივწივაძეს (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიდრომექანიკისა და ოკეანოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, იუნესკოს სამთავრობათაშორისო ოკეანოგრაფიული კომისიის საქართველოს ოკეანოგრაფიული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი...), თუ როგორ აფასებს იგი ალტერნატიულ პროექტს (იხ. „თეიმურაზ ქარჩავას მხარდამჭერთა ჯგუფი“), რომელიც ხელაღებით უარყვეს სამთავრობო და მოწვეულმა ექსპერტებმა:

**„ამ პროექტის უგულებელყოფა მთავრობის მხრიდან გაუაზრებელი დანაშაულებრივი ქმედების ტოლფას აქტად მიმაჩნია. ქართველი სპეციალისტი- ოკეანოლოგების, ჰიდროტექნიკოსების, გეომორფოლოგებისა და გეოლოგების აზრით, ტენდერის გამოცხადებამდე ანაკლიის სანაპირო ზონის კომპლექსური კვლევები უნდა ჩატარებულიყო, რომელიც მნიშვნელოვან თანხებსა და დროს მოითხოვდა. სამწუხაროდ, არც უცხოელ ექსპერტებს და არც ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას, პორტის პროექტირებისა და მშენებლობისთვის ამ მნიშვნელოვანი კვლევების ჩატარების აუცილებლობა არ გაუთვალისწინებია. შესაბამისად, მონაწილე მხარეების მიერ წარმოდგენილი პროექტების ვარგისიანობაზე, პორტის ოპერირების ეფექტურობაზე, დაგეგმილი ტვირთბრუნვის უზრუნველყოფაზე მშენებლობის ეტაპების მიხედვით მსჯელობა, გადაწყვეტილების მიღება და ტენდერში გამარჯვებული მხარის გამოვლენა მხოლოდ პოლიტიკურ ნებად და ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების უგულებელყოფად მიმაჩნია.“**

...სამი დღე დავყავი ანაკლიაში, მაგრამ ვერც მთავრობის და ვერც ხაზარაძის გამოგზავნილ მსტოვართა ნაკვალევს ვერ მივაგენი, ათასნაირ ხმებს რომ ავრცელებენ პორტის მშენებლობაზე და ტვინს და გულს ურევენ ადგილობრივ მოსახლეობას. შედარებით საყურადღებო „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ (იგივე ხაზარაძე და კონტი ჯგუფი) სახელით მოსაუბრე, ვინმე, ქალბატონ „ტატის“ ნათქვამი აღმოჩნდა – **„ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ანაკლიის მოსახლეობას მთავრობა ასახლებს და ჩვენ არც ფულს ვუხდით ვინმეს და არც რამეს ვპირდებითო!“**

ამ განცხადებამ კიდევ ერთხელ მოჰფინა ნათელი იმ ფაქტს, რომ ხაზარაძე და მთავრობა შეხმატკბილებულად მუშაობენ. ისიც ცხადია, რომ ხაზარაძის პარტნიორები ამერიკელები არიან და, ბუნებრივია, ისინი ვერ ჩაერევიან აბორიგენი ანაკლიელების გასახლების საქმეში – იგი საქართველოს მთავრობამ უნდა აღასრულოს, რომელსაც ქვეყნის სათავეში ყოფნის რამდენიმე თვე დარჩა.

ჩემთვის გასაგებია, თუ რატომ ავრცელებენ განსხვავებულ ხმებს ანაკლიიდან გასასახლებელი მოსახლეობის მიწის ფასთან დაკავშირებით. მათ სურთ, გაიგონ, რა შეთავაზებაზე იქნება ადგილობრივი მოსახლეობა თანახმა. მაგრამ, ამ შემთხვევაში ეს არ არის მთავარი, აქ გაცილებით ავაზაკური ქმედება იკვეთება, რაც თავზარდამცემ კითხვას ბადებს:

**რატომ აირჩია მთავრობამ პროექტი, რომელიც უამრავ პრობლემას ბადებს (სპეციალისტების აზრით ვერანაირად ვერ იქნება წელიწადში 100 მილიონი ტვირთბრუნვის ღრმაწყლოვანი პორტი) და ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის (დიდი ალბათობით მთლიანად) გასახლებას მოითხოვს, როცა არსებობს საერთაშორისო ექსპერტთა მიერ მოწონებული ალტერნატიული პროექტი, რომელიც 100 მილიონი და მეტი ტვირთბრუნვის გარანტიას იძლევა და საერთოდ არ ეხება ადგილობრივ მოსახლეობას?!**

**აქედან გამომდინარე, რატომ აიკიდა მთავრობამ ზედმეტი, ყოვლად არასაჭირო ხარჯები მისი მმართველობის მიწურულს?**

**ხომ არ ნიშნავს ეს დიდი ხნის წინ გამოთქმული ეჭვის დადასტურებას, რომ ანაკლიაში არავინ აპირებს პორტის აშენებას, იქ უფრო მნიშვნელოვანი და საშიში რამ შენდება, ამიტომაც უნდა მოაშორონ იქაურობას ადგილობრივი მოსახლეობა?!.**

**მიმაჩნია, ამ საკითხზე კამათი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე მოსახლეობის დაუკითხავად ახალი საპარლამენტო ავაზაკების შერჩევა-შემოთავაზება და მათ ვარგისიანობაზე თავპირის მტვრევა!**



**დავით ქობალია**

# პირსისხლიან „სამართალს“ ზვარაკად შეწირული სიცოცხლე

**დარწმუნებული** **ვარ, ლამის სრულიად საქართველო შეძრა და დაადარდიანა საფრანგეთიდან მოსულმა ცნობამ, რომ 29 ივნისს პარიზის ერთ-ერთ კლინიკაში ოპერაციის დროს გარდაიცვალა საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი.**

**არ მეგულება საქართველოში კაცი, რომელმაც, მიუხედავად თავისი საზოგადოებრივი აქტივობისა და პოლიტიკური სიმპათიებისა, არ იცოდეს, რომ ბატონი სულხან მოლაშვილი, 47 წლის ეს სულით ხორცამდე ჭეშმარიტი მამულიშვილი და შეუდრეკელი ვაჟკაცი, ნაციონალური მოძრაობის განუკითხავი მმართველობის ისეთივე მსხვერპლია, როგორებიც არიან სანდრო გირგვლიანი, მამა-შვილი იური და გიორგი ვაზაგაშვილები, ბუტა რობაქიძე, გიორგი გამცემლიძე და მრავალი სხვა.**

**დღეს ბატონი სულხან მოლაშვილის ცხედარს მშობლიურ მიწას მიაბარებენ. გუშინ კი, რედაქციის დავალებით, მის ადვოკატს იოსებ ბარათაშვილს შევხვდი, რომელსაც ვთხოვე, საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა ნაციონალთა რეჟიმს შეწირული კაცის ტრაგიკული ამბავი, მის მიმართ სახელდახელოდ შეთითხნილი სისხლის სამართლის „საქმის“ ისტორია.**

— თავდაპირველად, თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა, გამოვთქვა ჩემი ღრმა მწუხარება ბატონი სულხან მოლაშვილის გარდაცვალების გამო, მივუსამძიმრო მისი ოჯახის წევრებს, ერთიანად ქართველ საზოგადოებას, რადგან ეს არის თითოეული ჩვენგანის უდიდესი გულის ტკივილი.

ახლა რაც შეეხება კონკრეტულად თავად ამ ტრაგიკული ამბის ისტორიას. სულხან მოლაშვილი 2004 წლის 22 აპრილს დააკავეს და წარუდგინეს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის რამდენიმე, მათ შორის 333-ე მუხლით (რომელიც ეხება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას), 332-ე მუხლით (იგი უფლება-მოსილების გადამეტებას ეხება) და 182-ე მუხლით (სახელმწიფო სახსრების მითვისება და გაფლანგვა). როგორც კი საქმის მასალებს გავეცანი, მაშინვე დავინახე, რომ იგი ნაჩქარევად, სახელდახელოდ იყო შედგენილი, უფრო სწორად, შეთითხნილი: ერთ თვეში იყო ჩატარებული რაღაც ექსპერტიზის მსგავსი ღონისძიებები, დაკითხული იყო უამრავი მოწმე, რომლებიც არ ადასტურებდნენ იმ დანაშაულს, რასაც მას ბრალად უყენებდნენ. კერძოდ, რას აბრალებდნენ: პირველი: კონტროლის პალატას უფლება არ ჰქონდა, შეემოწმებინა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოები. მეორე ბრალდება ის გახლდათ, რომ, როცა ამა თუ იმ აღმოჩენილი დარღვევის გამო საწარმოს გარკვეული თანხების გადახდა დაეკისრებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, მაშინდელი კანონმდებლობის შესაბამისად, დარიცხული თანხის განსაზღვრული ნაწილი უშუალოდ კონტროლის პალატის ანგარიშზე მიდიოდა, რომელიც შემდგომ მას საკუთრივ განკარგავდა, ვთქვათ, ხელფასებზე, თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებაზე და სხვ. ბრალდება კი ის გახლდათ, რომ აღნიშნული თანხები კონტროლის პალატის ანგარიშზე ბიუჯეტის გაუვლელად, მისი გვერდის ავლით, პირდაპირ საწარმოს ანგარიშიდან ხვდებოდა.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ **ორივე ბრალდება იყო უკანონო,** ვინაიდან იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე აქტებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და მსგავს საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის ერთ-ერთი დროებითი საგამოძიებო კომისიის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე კონტროლის პალატის მაშინდელი პრაქტიკით, **კონტროლის პალატას უფლება ჰქონდა შეემოწმებინა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები.** მეტიც: კონტროლის პალატის თავმჯდომარედ სულხან მოლაშვილის მუშაობის პერიოდში და **მისი ამ თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც კი, ასეთი საწარმოები ანალოგიურად მოწმდებოდა.** მათ შორის შემიძლია დაგისახელოთ, ვთქვათ, „საქართველოს რკინიგზა“, „თბილავიამშენი“, სხვები.

მართებული არც ბრალდების მეორე პუნქტი იყო, ვინაიდან **„სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ იმდროინდელი კანონის შესაბამისად, კონტროლის პალატის ანგარიში თავად სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი ანგარიში იყო.** თანაც, თანხების მითვისებისა და გაფლანგვის შემთხვევაში ისინი პირის მართლზომიერ მართვასა და საკუთრებაში უნდა ყოფილიყო. ხოლო თუკი კონტროლის პალატის ანგარიშზე ირიცხებოდა, მაშინ ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა პირის მართლზომიერ მართვასა და მფლობელობაში, და, შესაბამისად, ვერც ვერანაირად ვერ გაიფლანგებოდა, ვინაიდან ყველანაირი საბუთი არსებობდა, რომელთა თანახმად აღნიშნული სახსრები, კანონის შესაბამისად, პრემიებსა და ხელფასებზე იყო გაცემული. **აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ თავად სულხან მოლაშვილს ამ სახსრებიდან არც ერთი თეთრი არ ჰქონია მიღებული.**

ცხადია, დაცვის მხარემ ჩავატარეთ არაერთი ექსპერტიზა, დავკითხეთ უამრავი მოწმე და მინდა, გითხრათ, რომ საქმე მიმდინარეობდა უმძიმესი პროცესუალური დარღვევებით. ამის მიზეზი ის იყო, რომ ხელისუფლება დიდად დაინტერესებული გახლდათ ამ საქმის რაც შეიძლება მალე დასრულებით. აუცილებლად მინდა, ისიც გითხრათ, რომ იმ დროს ბატონი სულხანი უკვე ძალიან ავად იყო, იგი სასამართლოში საკაცითაც კი დაჰყავდათ. საქმის განხილვისას სასამართლოს არც ერთ გადაწყვეტილებაში, განაჩენში არ აისახა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არც ერთი მოწმის ჩვენება, არც ერთი ექსპერტიზის დასკვნა. **ეს უდავოდ არაკანონიერი იყო, რაც წინა ხელისუფლებამ შემდგომ თავადვე აღიარა, რის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.**

როდესაც საქმე 2006 წელს უზენაეს სასამართლოში განიხილებოდა, ერთ-ერთმა მოსამართლემ, ქალბატონმა **ნუნუ კვანტალიანმა** განსხვავებული აზრი დაწერა და მთლიანად გაიზიარა დაცვის პოზიცია იმის თაობაზე, რომ თანხების გაფლანგვისა და თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების არანაირი ფაქტები არ ყოფილა, რის გამოც მას თანამდებობის დატოვება მოუწია.

პარალელურად ისეთი ამბები ხდებოდა, რომლებიც ცხადს ხდის, რომ **სასამართლო ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდა.** კერძოდ, სასამართლო პროცესის დროს, საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ორჯერ გააკეთა საჯარო განცხადება, რომ იგი არსად გაუშვებდა სულხან მოლაშვილს მანამდე, სანამ, მისივე სიტყვები რომ გავიმეორო, ის მითვისებულ ფულს ბოლო კაპიკამდე სახელმწიფო ხაზინაში არ დააბრუნებდა. მაგრამ ეს, რეალურად, იყო პირდაპირი შურისძიება, რადგან როცა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას სახელმწიფოს პირველი პირი საჯაროდ აცხადებს, რომ პირადად არ გაუშვებს პატიმარს ციხიდან, სავსებით ცხადია, თუ რასთან გვაქვს საქმე. ასევე პროცესის მიმდინარეობის დროს საჯარო განცხადება გააკეთა უზენაესი სასამართლოს იმდროინდელმა თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ სულხან მოლაშვილი დამნაშავე იყო, რისი უფლება, ცხადია, არ ჰქონდა.

გარდა ამისა, მიხეილ სააკაშვილის პირველი განცხადების დღეს, 2004 წლის ივნისის ერთ საღამოს, სულხან მოლაშვილი შს სამინისტროს სარდაფში განთავსებულ მე-7 საპყრობილეში გადაიყვანეს, **სადაც ერთ თვეზე მეტი ხნის მანძილზე იმყოფებოდა არაადამიანურ პირობებში — არ ჰქონდა ჰაერი, განათება, საპირფარეშო ზედ საწოლთან იყო. სწორედ ამ პერიოდში მან წონაში 30 კილოგრამი დაიკლო და ის ცნობილი ფოტოები, რომლებზეც ეს მთასავით კაცი ლამის ჩონჩხადაა ქცეული, სწორედ იმ დროსაა გადაღებული.**

ბუნებრივია, რომ ჩვენ, მისმა ადვოკატებმა, ადამიანის უფლებათა დამცველებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ამის თაობაზე განგაში ავტეხეთ, მაგრამ გარკვეული ხნის მანძილზე ხელისუფლებას ამისთვის არანაირი ყურადღება არ მიუქცევია. შემდეგ საქართველოში ევროპის საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლები, ბატონები იორში და კირილოვი ჩამოვიდნენ, რომლებმაც სულხან მოლაშვილის მონახულება მოითხოვეს. ისინი ნანახით გაოგნებული დარჩნენ და პირად საუბარში განაცხადეს, რომ **ასეთ მდგომარეობაში არათუ ადამიანის, ცხოველის ყოფნაც კი დაუშვებელია.** მათმა პოზიციამ ხელისუფლება აიძულა, რომ სულხან მოლაშვილი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაეყვანა. შემდგომ მათ შესაბამისი ანგარიშიც გამოაქვეყნეს, ევროპის საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში აღინიშნა სულხან მოლაშვილის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოქმედებების შესახებ. ხოლო, როცა სულხან მოლაშვილის მდგომარეობა სრულიად აუტანელი



გახდა, მან სამართალდამცაველთა წინაშე განაცხადა, რომ დაკავების პირველ საათებში მას მოსთხოვეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ იმ შინაარსის ჩვენების მიცემა, თითქოს კონტროლის პალატის მიერ იუსტიციის სამინისტროსა და თბილისის საკრებულოს შემოწმებები, რომლებსაც სხვადასხვა დროს მიხეილ სააკაშვილი თავკაცობდა, მისი დავალებით მოხდა, რისი მიზანი უარყოფითი დასკვნების დადება იყო, რომლებშიც მრავალი კანონდარღვევა იქნებოდა აღნუსხული. **მას შემდეგ კი, რაც სულხან მოლაშვილმა ეგრეთ წოდებული „აღიარებითი ჩვენების“ მიცემაზე უარი თქვა, მასზე ფიზიკური ზეწოლა დაიწყეს: მისივე განცხადებით, მისთვის უცნობმა პირებმა თავზე მაისური გადააფარეს, ტანზე ანთებულ სიგარეტებს ადებდნენ, დენით აწამებდნენ.**

ამასთან დაკავშირებით, წინამდებარე პუბლიკაციის ავტორს მინდა, ბატონ სულხან მოლაშვილის ადვოკატის ბატონ იოსებ ბარათაშვილის მიერ მოწოდებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეორე სექციის განყოფილების მდივნის, ქალბატონ სალი დოლეს სახელზე გაგზავნილი 2010 წლის 8 ივნისით დათარიღებული დაცვის მხარის შეპასუხების ამონარიდი შემოგთავაზოთ, რომელიც საქმისადმი სამართალდაცვის ორგანოების წარმომადგენელთა მიკერძოებულ დამოკიდებულებას ასახავს.

> **„...ნიშანდობლივია თბილისის პროკურორის ბ-ნი ვ. გრიგალაშვილის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადება, რომელიც მან 2004 წლის 13 ივლისს, ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო პროგრამა „ქრონიკაში“ გააკეთა... „...დარწმუნებით შემიძლია, განვაცხადო, რომ სულხან მოლაშვილი ტყუის, როდესაც ის აცხადებს, თითქოს აწამეს თბილისის მთავარი სამმართველოს დაკავების დროებით იზოლატორში“.**

ბუნებრივია, სულხან მოლაშვილის ზემოაღნიშნულმა განცხადებამ უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია, დაინიშნა რამდენიმე ექსპერტიზა, რომელთა დასკვნები ერთმნიშვნელოვანი იყო: **ამ ტიპის დაზიანებებს სულხან მოლაშვილი თავად ვერ მიიყენებდა და რომ მას არაადამიანურად ეპყრობოდნენ.**

ამდენად, საჭირო გახდა გამოძიების დაწყება, რომელიც კი დაიწყო, მაგრამ... დღესდღეობითაც გრძელდება.

— 2004 წლის ოქტომბერში, ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების დროს, — განაგრძობს ბატონი სოსო, — ჩვენ მივმართეთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, აგრეთვე 2005 წელს მივმართეთ დამატებითი საჩივრით, ხოლო მას შემდეგ, რაც საქმის განხილვა საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში დასრულდა, მივმართეთ მესამე საჩივრითაც.

ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სამივე გაერთიანებული საჩივრის განხილვას დაიწყებდა, სულხან მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს მისთვის სასწრაფო წესით, როგორც დროებითი ღონისძიება, გადაუდებელი ეფექტიანი მკურნალობის ჩატარება დაავალა. მართლაც, 2005 წელს შეიქმნა ავტორიტეტული კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლები, ისე დაცვის მხარის მიერ შერჩეული ექიმები, სულხან მოლაშვილს ჩაუტარდა მკურნალობის კურსი, რის შემდეგაც მისი დაავადების განვითარება გარკვეულწილად შეჩერდა.

2008 წლის იანვარში სულხან მოლაშვილი პატიმრობიდან გათავისუფლდა, რაც პირადად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ხელისუფლებისადმი მიმართვის შედეგი გახდა. ამდენად, იმხანად საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის განკარგულებით **სულხან მოლაშვილი ციხიდან გამოვიდა, თუმცა კი, სხვა პირთაგან განსხვავებით, მას შეწყალების თხოვნით ხელისუფლებისთვის არ მიუმართავს.**

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან კომუნიკაცია ერთობ ხანგრძლივი პროცესია, ამდენად, სულხან მოლაშვილის საქმეზე საქართველოს ხელისუფლებასთან მისი პირველი კონტაქტი მხოლოდ 2010 წელს შედგა. ეს პროცედურა კონკრეტულად იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებს გადაეცემა დაცვის მხარის საჩივარი სათანადო კითხვებთან ერთად, რომლებსაც სათანადო ორგანოები პასუხს გასცემენ, შემდეგ დაცვის მხარეს უკვე შესაძლებლობა აქვს, რომ, თავის მხრივ, უპასუხოს სახელმწიფოს პოზიციას, რის შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო საქმე-

ზე საკუთარ გადაწყვეტილებას იღებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან მიღებულ პასუხზე დაცვის მხარის ზემოხსენებული შეპასუხებიდან თქვენი ყურადღება განსაკუთრებით კიდევ ერთ ადგილს მინდა, მივაპყრო:

„კატეგორიულად ვერ გავიზიარებთ მთავრობის წარმომადგენლის პოზიციას იმის თაობაზე, რომ საქმის უნიკალური ფაქტობრივი გარემოებებისა და იმ დროს საქართველოში არსებული ვითარების მხედველობაში მიღებით ევროპის სასამართლოს მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხთან დაკავშირებით შემუშავებული პრაქტიკა არ უნდა იყოს გადამწყვეტი წინამდებარე საქმესთან მიმართებაში...“

— ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ „ვარდების რევოლუცია“ თავისი მნიშვნელობით იყო მსოფლიო მასშტაბის ისეთი მოვლენა, რომ მას მთელი ევროპული ღირებულებები და სასამართლო პრაქტიკა უნდა შეეცვალა, — განაგრძობს ბატონი იოსებ ბარათაშვილი. — ჩვენ კი ამას ასეთი პასუხი გავეცით:

**„მიგვაჩნია, რომ მთავრობის წარმომადგენლის ამგვარი პოზიცია არა მხოლოდ დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, არამედ წარმოადგენს საბჭოთა ტოტალიტარული აზროვნების ტიპიურ ნიმუშს, რომლის თანახმად რევოლუციის შემდეგ, მისი ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნდა დაინერგოს სრულიად ახალი პრაქტიკა და უნდა შეიცვალოს ის, რაც მანამდე იყო დამკვიდრებული.**

**ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავიანთი საჯარო გამონათქვამებით უხეშად დაარღვიეს კონვენციის 6.2 მუხლი“.**

მას შემდეგ, რაც ჩვენ აღნიშნული შეპასუხება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გადავაგზავნეთ, ხელისუფლება ჩიხში მოექცა და უკვე **2011 წლის მარტში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ყველა შენიშვნა სულხან მოლაშვილის მიმართ დაშვებულ უკანონობათა თაობაზე სამართლიანად და მუხლობრივად დაშვებულ კანონდარღვევებად აღიარა. ესენია, კერძოდ, კონვენციის მე-3 მუხლი (წამება და არაადამიანური მოპყრობა), მე-5 მუხლი (აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დროს დარღვევები), მე-6 მუხლის I პუნქტი (სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა), II პუნქტი (უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა), III პუნქტი (მხარეთა შეჯიბრების თანასწორობის პრინციპის დარღვევა) და მე-14 მუხლი, რომელიც პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას ეხება.**

მაშასადამე, სახელმწიფომ, ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, სრულად აღიარა სულხან მოლაშვილის მიმართ ჩადენილი კანონდარღვევები. ამიტომაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა განგვიცხადეს, რომ კანონდარღვევათა აღიარების გარდა საკომპენსაციო თანხასაც — 20 ათას ევროს გადავიხდით, რაც ევროსასამართლომ დაადგინა და საქმესაც გამოვიძიებთო. ამის შემდეგ პროცედურა იმ მიზეზით გაიწელა, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩაწერილი არ იყო, რომ სულხან მოლაშვილს უფლება ჰქონდა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვა მოეთხოვა შიდა სასამართლოსთვის, თუმცა ხელისუფლება ამასაც დათანხმდა. 2014 წელს ევროსასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, სადაც ყველაფერი ზემოთქმული ასახული იყო.

— რამდენიმე თვის წინათ ამ საკითხს ბატონ სულხან მოლაშვილთან განვიხილავდით, თუმცა კი მას უკვე ეტყობოდა, რომ ფიზიკურად ძალზე შეუძლოდ იყო, — თქვა საუბრის მიწურულს ბატონმა იოსებ ბარათაშვილმა. — ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ მისი საქმის გადასინჯვის თაობაზე შიდა სასამართლოსთვის მას შემდეგ მიგვემართა, რაც ის მკურნალობას ჩაიტარებდა. საუბედუროდ, ეს სურვილი სურვილად დარჩა...

რაც შეეხება გამოძიებას, მთავარი პროკურატურის წარმომადგენელთა ათიოდე დღის წინანდელი განცხადებით, ის ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც ევროპული სასამართლოს დადგენილების მოთხოვნას შეესაბამება.

**ოთარ ტურაზელიძე.**

**P. S. საუბარი რომ დავასრულეთ და ბატონმა იოსებ ბარათაშვილმა გასაცნობად რამდენიმე იურიდიული დოკუმენტის ასლი გადმომცა და საკუთარი მოქალაქეობრივი და პროფესიული პოზიციის, კაცური გულისტკივილის გამომხატავი კიდევ რამდენიმე სიტყვა მითხრა:**

**— ბატონ სულხან მოლაშვილის მიმართ ჩადენილი დანაშაული, მისთვის შეთითხნილი, თეთრი ძაფით ნაკერი „საქმე“ იმის თვალნათელი ნიმუშია, თუ როგორ არ უნდა ექცეოდეს სახელმწიფო პიროვნებას. მთელი იმ დარღვევების ნაირსახეობითა და უთვალავობით ეს „საქმე“ ყველა იმ საშინელებას წარმოადგენს, რომელიც საქართველოში 2004-დან 2012 წლამდე ხდებოდა. ეს იყო კატასტროფული ხანა, როცა საკუთარი სიმართლის მამტკიცებელი კაცი, არსებითად, სახელმწიფოს უპირისპირდებოდა, რომელიც, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, ყველა აკრძალულ ხერხსა და ილეთს ხმარობდა პიროვნების დასათრგუნავად, მის ზნეობრივად თუ ფიზიკურად მოსასპობად.**

**ბატონი სულხანის უდიდესი ვაჟკაცური სულისკვეთება კი ის გახლავთ, რომ მან ამ განუკითხავი ძალის წინაშე უკან არ დაიხია და ამას მარტო საკუთარი ჯანმრთელობა კი არა, თავად სიცოცხლეც შესწირა!**

**ო. ტ.**







**ჯალათი ნაციონალებისგან წამებული**

## სულხან მოლაშვილის ბოლო ინტერვიუდან:

**მაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ სააკაშვილი არჩევნების წინ გეგმავს ე.წ. სპეცოპერაციას, რომელიც მიზნად ისახავს თავისი აგენტების ჩანერგვას, რომლებიც ისედაც ბევრნი არიან სახელისუფლებო სტრუქტურებში, რათა სიგნალის მიცემისთანავე მოხდეს მათი მობილიზება და სიტუაციის არევა. ისინი ცდილობენ, რომ ვითომდა გაყალბებული არჩევნების კვალობაზე საქართველოში დესტაბილიზაცია მოხდეს, გასროლა მოხდეს.**

# „როგორ ვევნე და ვეწამე“...

### შტრიხები სულხან მოლაშვილის პორტრეტისთვის

თუ ჩვენს დროში ვინმეზე შეიძლება გალაკტიონის ამ სიტყვების მისადაგება, უწინარესად, სულხან მოლაშვილზე.

ის პირდაპირი მნიშვნელობით აწამეს.

მართალია, ნიკა რურუას ეს „არ უნახავს“, მაგრამ ნამდვილად აწამეს — შუა საუკუნეებისა და გაცილებით უფრო ადრინდელი მეთოდებითაც.

მინდა, ჯერ სწორედ ნიკა რურუას პედაგოგს მივუსამძიმრო. ის ჩემი და ჩემი შვილის პედაგოგიც იყო. უბრწყინვალესი პედაგოგი. მან „ზეპირად იცის“ პუშკინიც და აკაკიც, მაგრამ „გამზრდელს“ მაინც არ გავახსენებ, რადგან იქ ესეც წერია: „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს“...

ახლა კი მინდა, მივუსამძიმრო ყველას, ვისაც გუშინ სულის სიმები შეურხია სულხანის მამის მდუღარე ცრემლებმა.

* * *

მეგობრები არ ვყოფილვართ, მაგრამ საკმაოდ კარგად ვიცნობდი.

ის კონტროლის პალატის თავმჯდომარე იყო, მე — გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი.

დავურეკე.

პირადმა მდივანმა მიპასუხა. თავაზიანად მომისმინა. ჩაიწერა ჩემი „კოორდინატები“ და დამპირდა, რომ აუცილებლად დამაკავშირებდა ბატონ სულხანთან.

ნებისმიერი თანამდებობის პირზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ როგორი პირადი მდივანი ჰყავს.

იმავე დღეს დამირეკა და დამაკავშირა.

ვუთხარი, რომ ჩემს ნათესავს რაღაც პრობლემა ჰქონდა და სამართლიანად არ იქცეოდნენ.

დავინტერესდებიო.

რამდენიმე დღის შემდეგ რუსთაველის თეატრში აღდგენილ „კავკასიურ ცარცის წრეს“ თამაშობენ. შესვენებისას ფოიეში შემხვდება. უცხოელების ჯგუფს გამოეყოფა, მომიახლოვდება და მეტყვის: „დღეს და ხვალ სტუმრები მყავს. თქვენი ნათესავი ზეგ მოვიდეს ჩემთან.“

მივა და პრობლემას უმტკივნეულოდ მოაგვარებს...

* * *

ერთმა მისმა თანამშრომელმა მიამბო: გამომიძახა და მეუბნება: ამა და ამ დაწესებულებაში უნდა გაგიშვა შემოწმებაზე. სავარაუდოდ, სერიოზული დარღვევებია. თუ შემთხვევით იქ ვინმე ახლობელი გყავს, მაშინ სხვას გავგზავნი.

ასეთი კაცი იყო სულხან მოლაშვილი.

ასეთი პიროვნება.

ერთხელ ტელედებატებში მოპაექრეს ენა ჩააგდებინა, რამაც ლადო ასათიანის ეს სტრიქონები გამახსენა: „რაინდი მეფის ძვირის მთქმელს განა ბევრს ალაპარაკებს“...

* * *

სულხანის მეფე ჩემთვის მიუღებელი იყო, მაგრამ მისი ერთგულება მაინც აღმაფრთოვანებდა.

მთავარია, ერთგულება შეგეძლოს!

ვიცნობ არა ერთსა და ორს, ვისთვისაც ჯერ შევარდნაძე იყო ბრძენი და შორსმჭვრეტელი, შემდეგ — პატიაშვილი, შემდეგ — გუმბარიძე, შემდეგ — ისევ შევარდნაძე...

სულხან მოლაშვილი შორს იდგა ამგვარ მედროვეთაგან.

რაც მთავარია, მან ყველას გვაჯობა იმის განჭვრეტით, რომ ის, ვინც მეფეს უპირისპირდებოდა, კიდევ უფრო დიდ უბედურებას მოუტანდა ქვეყანას.

ამიტომაც აწამეს.

მართალია, ეს რურუას „არ უნახავს“, მაგრამ ნამდვილად აწამეს.

ვითომ არ უნახავს...

არა უშავს, სამაგიეროდ, მწამებლებისთვის სამუდამოდ დაგმანული იქნება ის ლაჟვარდები, რომელთაც სულხან მოლაშვილის ტანჯული სული იხილავს...

**იოსებ ჭუმბურიძე**

# მაღალჩინოსნები, რომლებსაც მოლაშვილი ასახელებდა, სამართალდამცავების ხელში უნდა აღმოჩნდნენ

იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ სულხან მოლაშვილი წინა ხელისუფლების მსხვერპლია და სამართლიანობის აღდგენის პროცესი ამ საქმის გამოძიებასაც უკავშირდება. თეა წულუკიანის თქმით, მოლაშვილის საქმეზე სამართლიანობა მხოლოდ ნაწილობრივ არის აღდგენილი.

**„სტრასბურგის სასამართლო, პირადად ჩემი მონაწილეობით, ყველაფერს ვაკეთებდით მის გადასარჩენად ციხეში, ქვეყნის შიგნით კი არა ერთი ადამიანი, ვისაც შიში არ ქონდა მაშინდელი ხელისუფლების, გამბედაობას იჩენდა, ყველაფერს აკეთებდა ასევე მის გადასარჩენად. ასევე მრავალი ადამიანის ძალისხმევით გამოვიდა ცოცხალი ბატონი სულხანი ციხიდან, თუმცა ჩვენ გვაქვს დღეს ძალიან დიდი, ერთიანი ტკივილი, რაც დაკავშირებულია მის გარდაცვალებასთან, იმ დიდი ფიზიკური და მორალური ზიანის გამო, რაც მან ციხეში მიიღო.**

**რა თქმა უნდა, გამოძიება აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ახლა მთავარია, რომ ის მაღალჩინოსნები, რომლებსაც ის ხელს ადებდა, აღმოჩნდნენ ქართული სამართალდამცავების ხელში. მხოლოდ ნაწილობრივ არის სამართლიანობა აღდგენილი, რადგან ჩვენ მისი უფლებები სტრასბურგის სასამართლოს დონეზე, მისივე სიცოცხლეში ვაღიარეთ და აღვადგინეთ, მას ის, რაც სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, ყველაფერი აღუსრულდა. რაც შეეხება გამოძიების ბოლომდე მიყვანას, ეს ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესია,“** — აცხადებს თეა წულუკიანი.



ვანთის სასახლის ერთ-ერთი მონაკვეთი

# ვანთა და ქოქიაურები

## შუამთის ქვეყანა

**ჯერ კიდევ ვაჩნაძიანიდან გამოყოლილი თავსატეხი ვანთისხევში კიდევ უფრო გამიმძაფრდა: სასახლე — ველისციხეში, სასახლეები — ვაჩნაძიანში და აი, ახლა სასახლე — ვანთაში... ამდენი სასახლე და არც ერთი მათგანის პატრონის გვარი!.. რა უმოწყალოდ ვეკიდებოდით მატიანეებს!.. ზეპური გვარების ურთიერთშურმა და ბრძოლამ ძველი საბუთები გაანადგურა. თავგადასავლები ზეპირსიტყვიერებით და ისიც შელამაზებული, „რედაქტირებული“ თუ გადაეცემოდა თაობებს. ამას კიდევ რა უჭირს: ირანის აგრესიულმა პოლიტიკამ, მეტადრე კი შაჰ-აბას პირველის მანიაკალურმა სამხედრო ექსპედიციებმა კახეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი მოსრა, მეორე ნაწილი ირანში წაასხა, მესამე ნაწილი კი მთებში გაფანტა. დაცარიელებული კახეთის ხელახლა დასახლებას, და ისიც მთიელებით, დიდი დრო დაჭირდა.**

გაწყდა მეხსიერების ძაფი...

აი, ამ მძიმე ფიქრებით მივუყვები გზას ვანთის კომპლექსიდან სამხრეთ დასავლეთით. სულ რაღაც 350-400 მეტრში მანქანა მცირე დარბაზულ ეკლესიასთან ჩერდება.

ეს ვანთის **„ღვთისმშობელია“**. ტაძარი ახალი აღდგენილია, მაგრამ ქვათა წყობის ზედა რეგისტრები იმას მეუბნება, რომ იგი გვიან შუასაუკუნეებშიც აღუდგენიათ: დაახლოებით 1,5 მეტრის ზევით კედლები რიყის „ხურდა“ ქვითაა აყვანილი, ხოლო ქვემოთ მზეზე შეფაკლული ლოდებია ჩამწკრივებული. „ღვთისმშობელი“ (6,5X4,65 მმ) აღმოსავლეთისა და დასავლეთის თითო-თითო მცირე საკრმლით ნათდება. პირველი მათგანი ერთიან რუხ შირიმის ქვაშია ამოჭრილი და ირგვლივ ვიწრო ღარები დაუყვება, მეორე სარკმელი დასავლეთ ფრონტონშია და თხელი ფილითაა გადახურული.

ყურადღებას იპყრობს დასავლეთ და სამხრეთ ფასადებში, მიწის ზედაპირიდან 2 მეტრის სიმაღლეზე გამოშვერილი 4 გრძელი ქვა (1+3), რომლებიც კრონშტეინებს ჰგავს. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მათ ეკლესიის მინაშენთა თაღები ეყრდნობოდა.

ეკლესიაში სამხრეთის ერთადერთი, არქიტრავული, კარით შევდივართ. გრძივი კედლები დანაწევრებული არაა, ხოლო საკურთხევლის აბსიდს ოდნავ ნალისებრი ფორმა აქვს. რჩება შთაბეჭდილება, რომ „ღვთისმშობელი“ X საუკუნის ნაგებობაა. მის ირგვლივ რამდენიმე ათეული ქვევრი წევს — ზოგი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 119



ქოქიაურების ეკლესია

ძველი და ზოგიც შედარებით ახალი. დღეს ვანთაში მრავალი გვარი ცხოვრობს და ქვევრები ალბათ, ყველა ცალკეულ გვარს ეკუთვნის, ყველას გარდა ერთისა, რომელსაც, თავისი ეკლესია და სასაფლაო ჰქონია.

**...ქოქიაურების** ეკლესიისკენ მივიჩქარით. ეს ეკლესია, რომელიც წმ. გიორგის სახელზეა ნაკურთხი, „ღვთისმშობლის“ ზევით, დაახლოებით, ერთ კილომეტრში, ძველ სასაფლაოზე დგას. იგი მინიატიურული სამლოცველოა (დაახლოებით 19 კვ. მ.), აგებულია რიყისა და ქვიშაქვის დაუმუშავებელი ქვებით და ახალი შეკეთებულია.

ნაგებობა განვითარებული შუასაუკუნეებისაა და, როგორც „ღვთისმშობელს“, მასაც გარშემო ქვევრები აქვს შემორიგებული.

...ეკლესიის მოშორებით მოწყობილ ჩარდახში რამდენიმე ვანთელი უზის სუფრას. გვეპატიჟებიან... საჭირო ინფორმაციას სწროედ მათგან ვიღებ. უწინარესად იმას ვიტყობ, რომ საყდარი 2006 წელს ივანე კირვალიძეს აღუდგენია.

**ქოქიაურები ადგილის სახელწოდებაა, ამ გვარის ხალხი კი აქ დიდი ხანია, აღარ ცხოვრობს. არც მოხუცებს ახსოვთ რომელიმე მათგანი. ვანთელი ბავშვი ცელქობას რომ არ მოიშლის, დედა, თურმე, ასე დატუქსავს: თუ არ დაყუჩდები, ქოქიაურებში გაგისტუმრებო — ე. ი. ძველ სასაფლაოზე გაგაგდებო.**

ჩნდება შეკითხვა: ვინ უნდა ყოფილიყვნენ ქოქიაურები და როგორია ამ გვარის სემანტიკა?

სულხან-საბას განმარტებით ქოქი ფესვი და ჩირგოვანი ეკალია. აქვე მას, განმარტებისთვის ასეთი ციტატები მოაქვს: **1) „უბრძანა ქოქითა ცემა“, 2) „ვითარცა ქოქითა იგვემებოდა გონება ავაზაკისა და ვითარცა იხვეტებოდა ზრახვა მისი“...** ამას ჩემის მხრივ დავუმატებ კიდევ ორ მაგალითს: სიტყვა **„დაქოქვას“** და გამოთქმა **„ქოქოლას დაყრას“**. ერთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ქოქით (ე. ი. ეკლიანი ფესვით) ცემასთან, აქედან გამომდინარე, ნაცემი კაცის რეაქციასთან (დაქოქვა, — ე. ი. ასხმარტალება) მეორე შემთხვევაში — ქოქით ცემის პროცესთან (ქოქოლის დაყრა) და მისი გადატანით მნიშვნელობის ქმედებასთან, როცა ვინმეს შერისხავენ ხოლმე სიტყვიერად. მაგრამ, რაკი ქოქი უწინარესად ფესვია, ხოლო ფესვი ჯიშის სინონიმიცაა, გამოდის, რომ ამ გვარის ხასიათში, ფუძის სიმტკიცესთან ერთად, სუსხიანობაც და სიმწვავეცაა ჩაკირული.

ვინ უნდა ყოფილიყვნენ ვანთაში ამგვარი კოდური ენერგიის მატარებელი ადამიანები? იქნებ, სწორედ ვანთის სახლის ფეოდალები, რომლებმაც ქარიშხალს გაუძლეს და ქოქი გადაირჩინეს?!. აბა გავიხსენოთ, როგორ გვიხატავს ღირსი მამის ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია ილარიონის დედის ძმას (ათონური რედაქცია „დედის ძმის“ ნაცვლად ილარიონის „ნათესავს“ ასახელებს): **„აღიხუნა მხედარნი“ და მივიდა მონასტრად წმიდისა მიერ შენებულსა, რათამცა დაწუას იგი და იავარყოს და იტყოდა ვითარმედ ჩემდალა უფროსლა არს დამყრობად ყოველი სიმდიდრე დისა ჩემისაი“.**

„ცხოვრების“ სხვა (ვრცელი ათონური) რედაქცია ილარიონის დედის ძმისა თუ ნათესავის ქმედებას ასე აფასებს: **„უკეთუ სულით შეპყრობილი აღმოჩნდა“-ო.**

თუ ამ მომხდარ ამბავს უფრო პროზაულ, აგიოგრაფიული სტილისგან განსხვავებულ პრიზმაში მოვაქცევთ, ილარიონის დედის ძმას თუ ნათესავს, როგორც საერო კაცს, დიდად არ გაემტყუნება: იგი იმიტომ არის გაცეცხლებული, რომ ილარიონმა, მამისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ, საგვარეულო სახლის უზარმაზარი ქონება ეკლესიათა მშენებლობაში და ღატაკთა დაპურებაში „გაფლანგა“, სანათესავო მშრალზე დატოვა, ხოლო საკუთარი დედა და და მონასტერში აღკვეცა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე სანათესავოს ინტერესების მკაცრ, მრისხანე დამცველთან გვქვს. ასეთია ამ ფეოდალის კოდური ენერგია, გნებავთ კარმა.

ვიცი, რომ საკმაოდ თამამ ვარაუდებს გამოვთქვამ, მაგრამ, ვიმედოვნებ, პილიგრიმ ტელედოკუმენტალისტს ეს დიდ მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა.

რაკი ქოქიაურებიდან ვანთაში დღეს არავინ ცხოვრობს, მათ სხვაგან დავუწყე ძებნა, დავუწყე და პოვნა დიდად არ გამჭირვებია. კვალმა უწინარესად პროფესორ მარინე ქოქიაურთან მიმიყვანა, მან კი ასევე თბილისში მცხოვრებ ნუგზარ ქოქიაურთან დამაკავშირა. მათ მეხსიერებას პაპის პაპის — გლახას სახელი შემოუნახავს. გლახა თიანეთის რაიონის სოფელ დულუზაურებში ცხოვრობდა, თურმე. ნუგზარი ვარაუდობს, რომ გლახას მამა და პაპაც დულუზაურელები უნდა ყოფილიყვნენ, უფრო ძველი წინაპრების საცხოვრისი ალაგის შესახებ კი არაფერი სმენია. გლახა ორი ვაჟით ქიზიყში გადასულა საცხოვრებლად, იმ ორი ვაჟიდან ერთ-ერთი — ყარამანი, მეუღლე ქეთევანთან და 9 შვილთან ერთად, საგარეჯოს რაიონის სოფელ თოხლიაურში გადასახლებულა. ქიზიყში დარჩენილი გლახას მეორე ვაჟის სახლი უცნობია. მეტი ნუგზარ ქოქიაურმა აღარ იცის. მისთვის ასევე უცნობია ვანთელი ქოქიაურები, მათი სასაფლაო და ეკლესია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უძველესი ფესვი იქიდან არ მოსდგამთ. საუკუნეების წინანდელმა ხშირმა მიგრაციამ მეხსიერების ჯაჭვი გაწყვიტა. რაღა შორს წავიდეთ: ქოქიაურები დღეს არა მარტო ვანთაში, დულუზაურებშიც კი არ ახსოვთ, ხოლო ქიზიყში მცხოვრები ქოქიაშვილების ერთი ნაწილი თავს შიდა ქართლიდან გამოქცეული ხაბაშვილების შთამომავლად მიიჩნევს.

ვდგავარ XII საუკუნის ქოქიარების წმ. გიორგის საყდრის წინ, შევცქერი მიწაში ჩაკარგული საფლავის ქვების ფრაგმენტებს და ფიქრით შორეულ წარსულში ვცოცხლდები. სხვამ რაც უნდა ის თქვას, ის ივარაუდოს და ის დაასკვნას, მე კი, მამულში მოხეტიალე თანამედროვე პოლიგრამს, მგონი, გუმანი არც ამჯერად მიღალატებს, თუ ვიტყვი, რომ ჩემი ფუძე აქ არის, აქ არის ჩემი ქოქი...

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები.**



ვანთის „ღვთისმშობელი“

**2009 წელს მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით თბილისში დევნილების გრძელვადიანი განსახლება აიკრძალა. ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, შეიცვალა მიდგომები დევნილთა მიმართ და შესაბამისად, დევნილებს მიეცათ თბილისში გრძელვადიანი განსახლების უფლება. 2012 წლიდან დღემდე საქართველოს მასშტაბით საცხოვრებელი ფართით 6265 დევნილია უზრუნველყოფილი, მათ შორის თბილისში საცხოვრებელი ბინა 661 დევნილ ოჯახს გადაეცა.**

**საბოლოოდ როდის უნდა მოგვარდეს უსახლკარო დევნილების პრობლემა და რა ტიპის სოციალური დახმარების რეფორმას იწყებს დევნილთა სამინისტრო? ამ საკითხებთან დაკავშირებით დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი გვესაუბრება.**



# სოზარ სუბარი:
# მძიმე მდგომარეობაში მყოფი ყველა დევნილი 2 წელიწადში ბინას მიიღებს!

**— „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირების ერთ-ერთი ნაწილი იყო დევნილთა უმთავრესი პრობლემის მოგვარება, როგორიც არის საცხოვრებლით უზრუნველყოფა. 2012 წლიდან დღემდე რა შეცვალა ამ მიმართულებით?**

— 23 წელი გავიდა აფხაზეთის ომიდან, 25 წელი ცხინვალის საომარი კონფლიქტის დაწყებიდან. შესაბამისად, დღეს საქართველოში 86 ათასი დევნილი ოჯახია, ამას ემატება ის ოჯახები, რომლებიც საქართველოდან არიან წასულნი. ამ 86 ათასიდან მხოლოდ 1/3-ს აქვს სახელმწიფოს მხრიდან ბინა მიღებული, 2/3 ისევ უბინაოდ არის დარჩენილი.

2008 წლამდე დევნილებისთვის არც ერთი ბინა არ აშენებულა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საერთაშორისო დახმარებით მოხდა კოტეჯური ტიპის დასახლებების აშენება შიდა ქართლში, კორპუსები აშენდა ფოთსა და წყალტუბოში, ასევე მოხდა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი შენობების გარემონტება საქართველოს რამდენიმე რეგიონში, სხვა არაფერი სახელმწიფოს ამ მიმართულებით არ გაუკეთებია.

**— რაც გაკეთდა ესეც დაკავშირებული იყო ომის შემდგომ პერიოდთან და იგივე საერთაშორისო დახმარებასთან...**

— იმ საერთაშორისო დახმარებიდან, რომელიც 5 მილიარდი დოლარის ფარგლებში შემოვიდა საქართველოში, 1 მილიარდი დევნილთა საცხოვრებლის მშენებლობას რომ მოხმარებოდა, დღეს აბსოლუტურად ყველა დევნილს ექნებოდა სახლი და დევნილის საცხოვრებლის პრობლემა გადაიჭრებოდა.

**— მაგრამ ეს არ გაკეთდა და ამ თვალსაზრისით უმძიმესი მემკვიდრეობა დაგხვდათ...**

— ნამდვილად. ძალიან ცოტა თანხა დაიხარჯა ამ მიმართულებით. ცხადია, მძიმე მემკვიდრეობაა, როდესაც დაახლოებით 2/3-ს, ანუ 52 ათას ოჯახს დღემდე არა აქვს ბინა მიღებული. მეტიც, იყო ასეთი დისკრიმინაციული მიდგომა, როდესაც ადამიანები ცხოვრობდნენ საქართველოს ერთ რეგიონში და ძალად ასახლებდნენ სხვა რეგიონში. კერძოდ, თბილისიდან გადასახლება ხდებოდა ხან ფოცხო-ეწერში, ხან ბაკურციხეში.

**— რა იყო ასეთი ძალადობრივი პოლიტიკის მიზეზი, როდესაც პოლიციის ძალით ხდებოდა დევნილების გადასახლება?**

— იმ ადგილებიდან, რომელიც მიაჩნდათ, რომ ეკონომიკურად საინტერესო და განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო, ავტომატურად ყრიდნენ ადამიანებს და ფართებს გადასცემდნენ ინვესტორებს. დღეს რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის კოეფიციენტით ტრაბახობენ, ეს ხშირად ხალხზე ძალადობის ხარჯზე ხდებოდა. 2009 წელს სააკაშვილმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით თბილისში აიკრძალა დევნილების გრძელვადიანი განსახლება. ეს მიდგომები შევცვალეთ და ვცდილობთ, რომ საქართველოს მასშტაბით მაქსიმალურად მივცეთ ბინები დევნილებს და მათ შორის თბილისშიც. თბილისში ბინები გადავეცით 661 დევნილ ოჯახს, წელიწადში დაახლოებით 2000-2500 ოჯახს ვაძლევთ საცხოვრებელ ბინას.

**— თუკი წელიწადში 2500 ოჯახს გადაეცემა საცხოვრებელი ბინა, მაშინ როგორ ხსნით იმას, რომ უსახლკარო დევნილები ისევ არიან ამ ქვეყანაში და არც თუ ცოტა?**

— თუკი ავიღებთ იმ ციფრებს რამდენი დევნილი ოჯახი გვყავს, და თუ მივუმატებთ იმასაც, რომ იზრდება დევნილების რაოდენობა, ადამიანი, რომელიც ოჯახს ქმნის, ეს უკვე ახალი ოჯახია და ბინა ეკუთვნის. თუ წელიწადში 2500 ოჯახი იღებს ბინას, ამას ემატება დაახლოებით 700 ახალი ოჯახი. რა თქმა უნდა, კარგი იქნება ამ პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტა და ამაზე გარკვეული მუშაობა მიდის დონორებთან.

**— სახელმწიფო შეძლებს ამ ადამიანების საცხოვრებლით დაკმაყოფილებას?**

— სახელმწიფო შეძლებს, მაგრამ ყველას ერთბაშად ვერ დავაკმაყოფილებთ. ამიტომაც ხდება პრიორიტეტების განსაზღვრა, რაც ბრძანებით არის განსაზღვრული. მაშინ, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ იყო ქვეყნის სათავეში, არანაირი წესი არ არსებობდა. ახლა განსაზღვრულია კრიტერიუმები — სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, ომში მონაწილეთა და დაღუპულთა ოჯახებს აქვთ გარკვეული პრიორიტეტი. არის რაიონები, სადაც ჩვენ დავხურეთ პროგრამა და უსახალკარო დევნილი არ იქნება.

**— შეგიძლიათ ეს რაიონები დაასახელოთ?**

— ახალციხე, ხაშური, კასპი, ქარელი, მიმდინარე წელს მათ მიუერთდება გორი.

**— ამ თვალსაზრისით ყველაზე მძიმე მდგომარეობა სად არის?**

— პირველ რიგში, ეს არის თბილისი, სადაც ყველაზე მეტი დევნილია. ასევეა ზუგდიდი, სადაც დაახლოებით 13 ათასი ოჯახია და პატარა ქალაქისთვის ეს ძალიან დიდი ციფრია. წყალტუბო, სადაც არაერთი დევნილია უმძიმეს მდგომარეობაში. ქუთაისი მეტ-ნაკლებად. რამდენიმე სანატორიუმია ბორჯომში, სადაც უმძიმეს პირობებში ცხოვრობენ დევნილები, თუმცა წელს ვაკეთებთ შენობას, რომელიც სერიოზულად განმუხტავს ვითარებას. წყალტუბოში გვაქვს პროექტი, რომლის მიხედვით 10 კორპუსი უნდა აშენდეს.

ვმუშაობთ ახალ მიდგომაზე, რომ ინვესტორებთან ერთად მოხერხდეს ისე, რომ წყალტუბო მთლიანად ამოიწუროს. მომავალ წელს შეიძლება მნიშვნელოვანი გარდატეხა გვქონდეს, თუ მთლიანად ვერ დავხურეთ. ძალიან მნიშვნელოვანი მშენებლობა გვაქვს დაწყებული ზუგდიდში. სულ შენდება 6 კორპუსი, 2 კორპუსს წელს ვამთავრებთ, მთლიანობაში 2 ათასზე მეტი ოჯახი მიიღებს ბინას.

ამის პარალელურად, გაეროსთან ერთად ვმუშაობთ ახალ პროქტზე, კერძოდ, ზუგდიდში და ქვემო ქართლში ავაშენოთ რამდენიმე ახალი დასახლება. თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, რეგიონების მიხედვით აშენდება რამდენიმე ათასი 2-3-სართულიანი კოტეჯები, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება საკუთარი თბო და ელექტრომომარაგებით. ეს იქნება ახალი სიტყვა საქართველოს ბინათმშენებლობაში. წელიწადზე მეტია ამ პროქეტზე მიდის მუშაობა და ვფიქრობთ, რომ აგვისტოში დასრულდება მოლაპარაკება.

**— რაც შეეხება თბილისს, რა ვადებში შეიძლება თბილისში მოგვარდეს უსახლკარო დევნილების პრობლემა?**

— თბილისში რამდენიმე სხვადასხვა პროექტი ხორციელდება. პირველი — ადამიანები, რომლებიც კანონიერად ცხოვრობდნენ მათ მიერ დაკანონებულ შენობაში ე.წ. კომპაქტურ დასახლებებში, სადაც ნორმალური საცხოვრებელი პირობები იყო, ასევე, ხალხი იყო ადაპტირებული, ის შენობები გადავეცით საკუთრებაში. მეორე — ბოლო სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 12 ათასმა ოჯახმა მიიღო საკუთრებაში ბინა. ასევე, სასტუმროები, თუ ყოფილი საავადმყოფოები, რომელიც კერძო მესაკუთრის ხელში იყო, მოხდა მათი შესყიდვა და დევნილებისთვის გადაცემა. ამ კატეგორიის დაახლოებით 700-ზე მეტი ბინა არის შესყიდული.

— მესამე — ეს არის შენობების გარემონტება და ახალი ბინათმშენებლობები, რომლის ფარგლებში 661-ზე მეტმა ოჯახმა მიიღო ბინა და წლის ბოლომდე დამატებით 400-მა ოჯახმა უნდა მიიღოს. თუ ჩავთვლით, რომ 10 ათასმა ოჯახმა შეავსო განაცხადი, ცხადია, რომ 10 ათასი ოჯახი ამ ტემპით ძალიან მალე ვერ დაკმაყოფილდება, მაგრამ ამ 10 ათასი ოჯახიდან, ბევრს ბინა აქვს. ვფიქრობ, დაახლოებით, 2 წელიწადში მძიმე მდგომარეობაში მყოფმა ყველა დევნილმა უნდა მიიღოს ბინა.

**— რაც შეეხება შემწეობას, 45 ლარი, რომელსაც სახელმწიფოსგან იღებს დევნილი, ნამდვილად არ არის საკმარისი არსებობისათვის, თუმცა, 28 ლარზე მეტი ნამდვილად არის. ამ მიმართულებით თუ იგეგმება ცვლილება?**

— 45 ლარი ერთ ადამიანზე - ეს არ არის საკამარისი არც ღირსეული არსებობისთვის და არც იმისთვის, რომ რაღაცა მინიმალური გააკეთო. თუმცა, ეს არის დანამატი იმ შემოსავალზე, რაც შეიძლება დევნილს ჰქონდეს, ისევე როგორც სხვა მოქალაქეს. ჩვენ ვფიქრობთ ამ დახმარების რეფორმირებას ისე, რომ უფრო მეტი მიიღოს იმან, ვისაც სჭირდება. მაგალითად, რას ვგულისხმობ — დღეს დევნილი, ვისაც 1250 ლარზე მეტი თვიური შემოსავალი აქვს, ის არ იღებს 45-ლარიან დახმარებას, აგრეთვე შეიძლება ადამიანი იყოს მაღალი თანამდებობის პირი, ჰქონდეს 3 ათასი ლარი ხელფასი, ან იყოს ბიზნესმენი და თვეში 10 ათასი ლარი ჰქონდეს შემოსავალი, ისინიც არ იღებენ 45 ლარს, მაგრამ იღებენ მათი ოჯახის წევრები.

მიუხედავად იმისა, რომ დევნილი საკმაოდ კარგად არის ინტეგრირებული დანარჩენ საზოგადოებასთან, გაცილებით მაღალია უმუშევრობა და უფრო დაბალია შემოსავალი. სახელმწიფოსთვის ეს არის პრიორიტეტული საკითხი. სანამ შენი ქვეყნის მოსახლეობის 7% ცხოვრობს ისე, რომ მას არა აქვს საკუთრება, სამსახური და მუდმივად სახელმწიფო დახმარების იმედზეა, ეს არის ჰუმანიტარული პრობლემა ამ ადამიანებისთვის, ფსიქოლოგიური პრობლემა მთელი ქვეყნისთვის და სერიოზული მუხრუჭი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. ეს პრობლემა უნდა დავძლიოთ და გადავლახოთ. ეს ნათლად აქვს გააზრებული საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელს და ყველა წევრს.

**— თუმცა ამ პროცესს თან ახლავს კორუფციის ფაქტები და ამის ბოლო მაგალითი იყო სუს-ის მიერ დაკავებული ქალბატონი. რამდენად მაღალია კორუფციის რისკები?**

— ჩემი მინისტრობის პერიოდში 6 თანამშრომელია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული. აქედან 5 ადამიანისთვის ბრალის წარდგენა ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა, მე-6 ადამიანი უშუალოდ სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიღებული ინფორმაციის შედეგად დააკავეს. გარდა ამისა, რამდენიმე თაღლითური ჯგუფი არის გამოვლენილი ჩვენს მიერ. რამდენიმე თანამშრომელზე გვქონდა ინფორმაცია, რომ ისინი გარკვეულ კორუფციულ საქმიანობაში იყვნენ ჩართული, ინფორმაცია გადავეცით ძალოვან უწყებას.

ყოველ ჯერზე, როდესაც იწყება ბინების გადაცემის პროცესი, ახალი ჯგუფები ყოფენ თავს. ერთ-ერთ ასეთ ჯგუფზე გვაქვს ინფორმაცია, რომლებიც დევნილთა სამინისტროს სახელით ატყუებენ დევნილებს და არადევნილებს, ეს ინფორმაცია მივაწოდეთ სამართალდამცავ უწყებას და იმედი მაქვს, რომ მოხდება ამ ადამიანების დაკავება. სამწუხაროდ, ამისგან დაზღვეული არ ვართ.

**— მწვავედ დგას ეკომიგრანტების საკითხიც და როგორც ცნობილია, ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში არც ერთი ეკომიგრანტისთვის არ მომხდარა საცხოვრებელი სახლის შეძენა, დღეს რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით?**

— ეკომიგრანტების 6 ათასი განაცხადი დევს სამინისტროში, რომლებიც სახელმწიფოსგან ითხოვენ დახმარებას. ეს პროგრამა 2006 წელს შეწყდა, არც ერთი ეკომიგრანტისთვის არ შესყიდულა არც ერთი სახლი. ჩვენ წავედით ორი მიმართულებით, პირველი — განვაახლეთ და გავაძლიერეთ პროგრამა და სამი წლის განმავლობაში 200-ზე მეტი სახლი გვაქვს შესყიდული. მეორე — იმ ეკომიგრანტებს, რომლებსაც 2006 წლამდე ჰქონდათ შესყიდული სახლები, მაგრამ არ იყო დაკანონებული, გავაკეთეთ სრული აღწერა ამ სახლების და დაიწყო დაკანონების პროცესი. 1100-მდე ოჯახი მიიღებს საკუთრებაში ბინას და ამაში არ ითვლება ახლად შესყიდული სახლები. ვფიქრობთ, რომ წლის ბოლომდე ყველა იმ ეკომიგრანტს, რომელსაც შეძენილი აქვს სახლი, დაუკანონდებათ. აქცენტი გვაქვს იმ რეგიონებზე, რომელიც ყველაზე მეტად არის დაზიანებული, ეს არის — მთიანი აჭარა, ლერჩხუმ-სვანეთი, ჩხოროწყუ და ზოგიერთი ბარის რაიონი.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

## „სააკაშვილი, რატომ აფინანსებდი ტერორისტებს?“

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ინფორმაციით, აჰმედ ჩატაევსა და მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო დეტალები გამოიკვეთა და სავარაუდოდ, გამოძიება დაიწყება.**

**„ეს ცნობილი ტერორისტი თურმე სააკაშვილის აგენტი ყოფილა, რომელსაც აფინანსებდა სააკაშვილი და პასპორტს პასპორტზე უცვლიდა. როდესაც ამაზე არის ლაპარაკი, ცხადია, რომ შესაბამისი მტკიცებულებები არსებობს შესაბამის ორგანოებში. ამაზეც, სავარაუდოდ, გამოძიება დაიწყება და ძალიან საინტერესო იქნება ამაზე მიხეილ სააკაშვილის პასუხები. როდესაც ის ჩამოვა საქართველოში და შებრძანდება მისთვის გამოყოფილ გარემონტებულ ოთახში, ნომერ მე-9 დაწესებულებაში, პასუხები უნდა გასცეს კითხვებს: რატომ აფინანსებდა და რატომ თანამშრომლობდა ტერორისტებთან. ეს არის ძალიან საინტერესო კითხვები. რაც შეეხება, რატომ მოხდა მისი გაშვება? მას ჰქონდა ერთადერთი ბრალი წაყენებული და სხვა მტკიცებულება ჩვენ არ დაგვხვედრია — ეს იყო იარაღის უკანონო ტარება. სააკაშვილის დროს ვანო მერაბიშვილის მიერ დამუშავებულმა მოწმეებმა მისცეს ჩვენება, თითქოს მას ჰქონდა იარაღი, შემდეგ გადათქვეს ეს ჩვენება და თქვეს, იარაღი არ ჰქონია. შესაბამისად, მისი დაკავება თუნდაც ერთი წუთით იქნებოდა უკანონო და სავარაუდოდ, გამოძიებას სხვა შანსი, გარდა იმისა, რომ ეს ადამიანი გათავისუფლებულიყო, არ ჰქონდა“,— განაცხადა სუბარმა.**

არც ახლა გჯერათ?



# რუსეთს ისეთი კომფორტული პარტნიორი სჭირდება, როგორიც ნაციონალური მოძრაობაა

**რუსეთის მხრიდან გიგი წერეთლისადმი გამოცხადებულ ღია მხარდაჭერაზე კომენტარს არ აკეთებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები. პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობისა“ და რუსეთის ინტერესები ყოველთვის თანხვედრაში იყო, რაც 2008 წლის აგვისტოს ომით და სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის გადაცემით დადასტურდა.**

**— ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის კანდიდატურას მხარს უჭერს რუსეთი. ეს არის პარტია, რომელიც 2012 წლიდან დღემდე მმართველს გუნდს ბრალს სდებს პრორუსული ინტერესების გატარებაში. თუმცა, ამ 4 წლის განმავლობაში საქართველოს ინტერესების სასარგებლო ნაბიჯი არ გადაუდგამს რუსეთს, ახლა ვნახეთ მხარდაჭერა, რომელიც გამოუცხადეს გიგი წერეთელს. როგორ ხსნით რუსეთის მხარდაჭერას?**

— „ნაციონალური მოძრაობა“ და რუსეთი რომ არც ისე მტრულად არიან ერთმანეთის მიმართ განწყობილი, როგორც ამას დეკლარირებენ, ეს ფაქტია. ამერიკელი პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ პუტინს თავისი აგენტი რომ ჰყოლოდა საქართველოს პრეზიდენტად, იმდენს ვერ გაუკეთებდა რუსეთს, რამდენიც სააკაშვილმა გაუკეთა. ამიტომ არ ვფიქრობ, რომ რუსეთის დელეგაციასა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის ამ საკითხზე მოლაპარაკება გამართულიყო.

2008 წლის ომის შემდეგ, მთელი სტრატეგიული ობიექტები გადაეცა რუსეთს და თან ისე, რომ რუსეთიდან ჩამოყვანილმა ბენდუქიძემ, რომლის პოლიტიკური ორიენტაციის მიმართ ბევრი კითხვა ისმოდა, მოსპო სტრატეგიული ობიექტის კატეგორია და ამდენად, ყველა ამ ობიექტის გასხვისებაში პრიორიტეტი სწორედ რუსეთს მიანიჭა. ასეთი პოლიტიკური ორენტაციის მქონე პარტიას რუსეთის მხარდასაჭერად რაიმე მოლაპარაკება დასჭირდებოდა? რა თქმა უნდა — არა. მიუხედავად განცხადებებისა, ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ორიენტაცია ყოველთვის რუსეთის მხარეს იყო.

გარდა ამისა, 2008 წლის ომი აწყობდა მხოლოდ რუსეთს და „ნაციონალურ მოძრაობას“. რუსეთს იმისთვის, რომ დასავლეთისთვის მუშტი ენახებინა, „ნაციონალურ მოძრაობას“ იმიტომ, რომ მერე კომპენსაციის სახით 5 მილიარდი დოლარი მიეღო. სად წავიდა ეს მილიარდები უცნობია. ეს მხოლოდ მცირე ფრაგმენტია ნაციონალებისა და სააკაშვილის ურთიერთობის.

**— რუსეთის გადაწყვეტილება ერთგვარი დადასტურებაა იმისა, რომ პროდასავლურობა არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ ექსკლუზივი? საქართველო იღებს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას, ემზადება ვიზალიბერალიზაციის მისაღებად, მსოფლიო ლიდრებისგან ვიღებთ მნიშვნელოვან გზავნილებს, ამის პარალელურად გვაქვს გზავნილი რუსეთიდან, რომ მხარს უჭერენ „ნაციონალურ მოძრაობას“...**

— ნამდვილად კარგი შედარება გააკეთეთ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ეს დასკვნა უნდა გააკეთოს საქართველოს მოსახლეობამ, მით უმეტეს, რომ წინ გვაქვს არჩევნები. დააკვირდით თითოეული პარტიის სიტყვების იქით რა რეალობა დგას, განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში. „ქართულ ოცნებას“ საყვედურობენ სიტყვის გატეხვას, ამ თვალსაზრისით შევხედოთ „ნაციონალურ მოძრაობას“ და საგარეო პოლიტიკურ კურსს, რასაც ამბობდნენ, ისე იქცეოდნენ თუ არა. პოლიტიკოსების მიმართ ვიყოთ უფრო კრიტიკული და საქმის მიხედვით გავაკეთოთ დასკვნა.

**„ნაციონალური მოძრაობის“ რუსეთთან კავშირი ჩანს „ვარდების რევოლუციის“ პროცესშიც. ჩამოვიდა იგორ ივანოვი, რომელმაც ღია მხარდაჭერა გამოუცხადა მიხეილ სააკაშვილს, გვახსოვს მისი გამოსვლა რუსთაველზეც, მოგვიანებით იგივე ივანოვმა სპეციალური რეისით წაიყვანა ასლან აბაშიძე, დღეს კი ასეთივე მხარდაჭერას უცხადებს ნიკოლაი კოვალიოვი. როგორ ფიქრობთ, რუსეთის ინტერესებში შედის მართვის სადავეები ისევ რუსეთის ხელში გადავიდეს, თუნდაც იმიტომ, რომ მიიღოს მაქსიმუმი, როგორც 2008 წელს?**

— სპეცსამსახურებისთვის ცნობილია ნაციონალების იმდროინდელი კონტაქტები რუსეთის ხელიუფლებასთან, როდესაც რევოლუციის მოსახდენად ფულს სთხოვდნენ რუსეთს. ასევე ის, რომ იგორ გიორგაძის რაზმის წევრები იცავდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს და ა.შ. ასე რომ, ნაციონალებისა და რუსეთის ურთიერთკავშირის თემა ძალიან დამაფიქრებელი და ამავე დროს ხანგრძლივი თემაა.

ფაქტი ერთია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რუსეთი ყოველმხრივ ცდილობს გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც საზოგადოებაში პროტესტს გააჩენს „ქართული ოცნების“ მიმართ. რუსეთი რომ მმართველ ძალას მხარს უჭერდეს, აუცილებლად შეარბილებდა პრობლემებს პირობით საზღვარზე და გააგრძელდებდა საქმიან მოლაპარაკებას.

**— თუმცა მოლაპარაკების დაწყების აუცილებლობაზე საუბრობს რუსეთის ხელისუფლება...**

— განცხადება ერთია, მაგრამ ამისთვის შესაბამის ნაბიჯებს არ დგამს და სწორედ ამიტომ არ მიდის ქართული მხარე მოლაპარაკებაზე. ყოველმხრივ ცდილობს იმის ჩვენებას, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება რუსეთისთვის მიუღებელია. რუსეთს ისეთი კომფორტული პარტნიორი სჭირდება, როგორიც „ნაციონალური მოძრაობაა“, რომელმაც სტრატეგიული ობიექტები და ტერიტორები გადასცა, რომელმაც გარდა დეკლარირებისა, არაფერი გააკეთა ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე. გამორიცხული არ არის, რომ ხელისუფლება, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ ხმამაღლა გაჰყვიროდა, მაგრამ საქმით რუსეთისთვის ხელსაყრელ ნაბიჯებს დგამდა, უფრო მისაღები იყოს.

**— ეს ფაქტები რა დასკვნის გაკეთების საშუალებას აძლევს საზოგადოებას „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით და არა კონკრეტულად წერეთელთან დაკავშირებით?**

— როგორც წესი, „ნაციონალურ მოძრაობას“ არ უჭირს ნათქვამის შეცვლა, როცა სჭირდება. ალბათ, აქაც ადვილად გადაალაგებს თავის რიტორიკას გიგის მხრდასაჭერად. სავარაუდოა, რომ ბევრი რამ შეიძლება გიგი წერეთელმა არც იცის, რა იგულისხმება ნაციონალებისა და რუსეთის ურთიერთობის ქვეშ. შეიძლება, პიროვნულად სჯერა იმის, რასაც ამბობს, მაგრამ მისი პიროვნული გადაწყვეტილება შეიძლება, შეიცვალოს ოდესიდან, ან აქაური ლიდერებიდან მიღებული ინსტრუქციების შემდეგ. მეორე მხრივ, ეუთო-ს საპარლამენტო პრეზიდენტობა არც ისე დიდი თანამდებობაა, რომ მისი არჩევით მსოფლიო პოლიტიკა შეიძრას, მაგრამ ამ მოვლენას განვიხილავ როგორც სიმპტომს და ვთვლი, რომ როგორც სიმპტომი, ისე უნდა განიხილოს ქართულმა საზოგადოებამ, რომელსაც არჩევნები აქვს კარს მომდგარი.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# დედამიწის ზურგზე



### ბაღდადში ორმაგი ტერორისტული აქტის მსხვერპლთა რიცხვი 213 კაცამდე გაიზარდა

**კიდევ 200-ზე მეტი დაიჭრა. ადგილობრივი ხელისუფლების სიტყვებით, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მომაკვდინებელი ტერორისტული აქტი ერაყის ისტორიაში. პასუხისმგებლობა მასზე უკვე იკისრა ტერორისტულმა დაჯგუფებამ „ისლამურმა სახელმწიფომ“.**

### დნმ-ის ანალიზმა დაადასტურა, რომ ფიჯიზე აღმოჩენილი ნაშთები ეკუთვნის ცოლ-ქმარს რუსეთიდან

**რუსეთელები დაიკარგნენ 15 ივნისს — უკანასკნელად ისინი ნახეს კაფეში საკურორტო ადგილ ნატადოლა ბიჩის მახლობლად. ორი დღის შემდეგ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პლაჟზე აღმოაჩინეს რუსული წყვილის ცარიელი ავტომობილი. მაშინვე იური შაპულინისა და ნატალია გერასიმოვას საქმიანმა პარტნიორმა ანდრეი ლუზანენკომ მიმართა პოლიციას განცხადებით მათი დაკარგვის შესახებ.**

### ჯასტინ ტრიუდომ პირველმა კანადის პრემიერ-მინისტრებიდან მოინახულა ლგბტ - აღლუმი

**ჩემთვის ეს უბრალოდ ლგბტ — გაერთიანების კიდევ ერთი დღესასწაულია. მე აქ მოვდიოდი რამდენიმე წლის განმავლობაში, და როგორღაც გაწბილებს, რომ ეს ითვლება დიდ საქმედ“, — განაცხადა კანადის პრემიერ-მინისტრმა აღლუმის დროს. ტრიუდოს გარდა, აღლუმში მონაწილეობა მიიღეს პროვინცია ონტარიოს პრემიერმა კეტლინ უინმა და ტორონტოს მერმა ჯონ ტორიმ.**

### მსოფლიოში იზრდება დედის რძისგან დამზადებული იუველირული ნაკეთობების პოპულარობა

**მაღაზიები, რომლებიც დასპეციალდნენ ამგვარი სამკაულების დამზადებასა და გაყიდვაზე, გაჩნდა სხვადასხვა ქვეყანაში. თანაც ბიოლოგიური ბეჭდების, მედალიონების**



**ან საკინძების შექმნის პროცესი საკმაოდ რთულია. წარმატების მიღწევისათვის ხშირად რამდენიმე მცდელობაა საჭირო.**

### თვითმკვლელი ტერორისტი შეეცადა, აეფეთქებინა თავი საუდის არაბეთში აშშ-ის გენერალური საკონსულოს მახლობლად

**ამჟამად არ არის ერთმნიშვნელოვანი ინფორმაცია იმის შესახებ, მოასწრო თუ არა თვითმკვლელმა ასაფეთქებელი ნივთიერების გააქტიურება. ზოგიერთი მონაცემებით, მან თავი აიფეთქა, როდესაც დაცვამ ალყაში მოაქცია. შეტევის შედეგად დაზარალდა ორი ძალოვანი, ისინი ჰოსპიტალიზებული არიან.**

### კუვეიტში განაცხადეს სამი პრევენტიული დარტყმის შესახებ ისლამურ სახელმწიფოზე, რამაც ქვეყანა ახალი ტერაქტებისგან გადაარჩინა

**კუვეიტის შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს სამი ოპერაციის შესახებ ისლამისტების წინააღმდეგ, რისი წყალობითაც ქვეყანაში რამდენიმე დიდი ტერორისტული აქტი აიცილეს თავიდან. ბოევიკების დაკავება ხდებოდა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.**

### დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი ტონი ბლერი სურთ, გადასცენ სასამართლოს ერაყში შეჭრის გამო

**მთავრობის ექს-ხელმძღვანელს უპირებენ გასამართლებას ბრიტანელი დეპუტატები, რომლებმაც პროცესი დაამთხვიეს 6 ივნისს გამოსულ მოხსენებას სპეციალური კომისიისა ბრიტანეთის მონაწილეობისა და ბლერის როლის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების და მოკავშირეების შეჭრაში ერაყში 2003 წელს. ტონი ბლერის წინააღმდეგ აპირებენ გამოიყენონ „ძველი კანონი“, რომელსაც პრაქტიკაში იყენებდნენ მხოლოდ 1806 წელს.**



# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „ელმავალმშენებელი" 2016 წლის 04 ივლისიდან აცხადებს აუქციონს სხვადასხვა სახის ფერადი ლითონის ჯართის რეალიზაციის შესახებ.

**ლოტი №1 – სპილენძის ჯართი:**

**სუფთა ჯართი** – სავარაუდოდ 5643კგ.±30% - საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 22289.85 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**კოლექტორების ჯართი** – სავარაუდოდ 3171კგ.±30% - საწყისი სააუქციონო ფასი 11%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 11147.65 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**გრაგნილების და კოჭების ჯართი** – სავარაუდოდ 3592კგ. ±30% - საწყისი სააუქციონო ფასი 18%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 11634.49 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**მაღალი ძაბვის სადენების ჯართი** – სავარაუდოდ 404კგ. ±30% - საწყისი სააუქციონო ფასი 43%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 909.61 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**დაბალი ძაბვის სადენების ჯართი** – სავარაუდოდ 922კგ. ±30% - საწყისი სააუქციონო ფასი 60%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 1456.76 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

ლოტზე ვაჭრობის ბიჯი – 10 ცენტი 1 კილოგრამ ჯართზე.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე" ლოტის ღირებულების 10%-ის ოდენობით (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**USD-Account**: Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

**GEL-Account**: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი", მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

დოლარის ლარში გაანგარიშება მოხდება აუქციონის ჩატარების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

წაგების შემთხვევაში „ბე" მონაწილეს დაუბრუნდება უკან. ლოტში კონკურენტის გარეშე მონაწილე პრეტენდენტი ავტომატურად გამოცხადდება გამარჯვებულად.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საქონელზე საკუთრების უფლება და „ბე" არ დაუბრუნდება.

აუქციონში მოგებული ლოტი №1 განსაზღვრული ჯართის გადაწონვა განხორციელდება სს „ელმავალმშენებელის" ელექტრონულ სასწორზე.

აუქციონში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია თავისი ხარჯებით უზრუნველყოს მოგებული საქონლის ტრანსპორტირებისათვის ტრანსპორტის დაქირავება.

სხვა კონკრეტული დეტალები დაზუსტებული იქნება პრეტენდენტთან გაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებაში.

***ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:***

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველ დღე უქმი დღეების გარდა, $10^{00}$ – დან $15^{00}$ – საათამდე. (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2016 წლის 08 ივლისს $12^{00}$ საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

***აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:***

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ (მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით: მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი).
2. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (დედანი).
3. პირადობის მოწმობის ქსერო ასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

***გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:***

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

აუქციონის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:

ვებ-გვერდი: : www.glmf.ge; ტელ. 5 14 30 88 33, 5 93 922 802, 5 77 003 707

**სს „ელმავალმშენებელის" მუდმივმოქმედი საააუქციონო და საკონკურსო კომისია.**

## განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის" ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

---

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან" ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

---

საქმე №76-2016

# დადგენილება

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო"-ს სახელით

## საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 29 ივნისი 2016 წელი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ახალი კრედიტი"**

**საარბიტრაჟო მოპასუხე: ლევან ბაიაძე, ილია მეყანწიშვილი, კახაბერ პავლიაშვილი**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება,**

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო"-ს მიერ 2016 წლის 25 მაისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ახალი კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხის ლევან ბაიაძის, ილია მეყანწიშვილისა და კახაბერ პავლიაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 20 აგვისტოს შპს „ახალი კრედიტი"-სგან მოპასუხე ლევან ბაიაძემ ისესხა 1000 ლარის ოდენობით სესხი. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 19 სექტემბერი. სესხი სარგებლიანია. სარგებლის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, რომლის ოდენობაც განისაზღვრება დარჩენილი გადაუხდელი თანხის 1%-ით.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ძირითადი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აღსრულებამდე.

2015 წლის 20 აგვისტოს დადებული №15803 სესხისა და თავდებობის ხელშეკრულების თანახმად, ილია მეყანწიშვილმა და კახაბერ პავლიაშვილმა აიღეს ვალდებულება მთლიანად იყვნენ პასუხისმგებელნი შპს „ახალი კრედიტი"-ს წინაშე ლევან ბაიაძის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე კახაბერ პავლიაშვილს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე ლევან ბაიაძეზე, ილია მეყანწიშვილზე და კახაბერ პავლიაშვილზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ლევან ბაიაძეს ოთხჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ როგორც რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, ისე ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ლევან ბაიაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ლევან ბაიაძე ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე და მის მიერ მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი სხვა ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო"-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ლევან ბაიაძეს (პირადი №59001013417) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო"-ს წარმოებაშია შპს „ახალი კრედიტი"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.
2. ლევან ბაიაძეს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო"-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონიდან და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო"-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხე ლევან ბაიაძეს, რომ მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე ლევან ბაიაძეს ეცნობოს, რომ 2016 წლის 22 ივლისს 16:00 საათზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო"-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ახალი კრედიტი"-ს სარჩელზე სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ლევან ბაიაძის, ილია მეყანწიშვილისა და კახაბერ პავლიაშვილის მიმართ.
5. ლევან ბაიაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

ძიუდო

# ექვსი მედალი და ბიჭების გუნდური ჩემპიონობა



**ფინეთის ქალაქ ვანტააში დასრულებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე ქართველმა მოჭიდავეებმა ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მეექვსე ადგილს დასჯერდნენ (პირველ-მესამე ადგილებზე რუსები, ფრანგები და სერბები გავიდნენ). ჩვენს დელეგაციას ოქროს მედალი 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში 16 წლის ეთერ ლიპარტელიანმა მოუტანა: ქართველმა ძიუდოისტმა ზედიზედ სძლია რუმინელ ილინჩა მიროშანუს, ხორვატ ივა ობერანს, ფრანგ კამილ ტანდოს, იტალიელ ნიკოლ დისანტოს (თანაც 11 წამში) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.**




ვერცხლის მედლები ერგოთ საბა გრიგალაშვილსა (60 კგ) და სოფიო სომხიშვილს (+70 კგ). გრიგალაშვილმა ხორვატ რობერტ კლაჩარს, იტალიელ პატრიკ კალა ლესინას, აზერბაიჯანელ ელჩინ ჰუსეინოვსა და ესპანელ როსენდო ლაინო რამირესს აჯობა, ხოლო რუს კონსტანტინ სიმეონიდისთან ვერაფერს გახდა. სომხიშვილმა ლატვიელი ანა ლებედევა, გერმანელი ჰანა როლვიგი და რუსი დარია ვლადიმიროვა იპონებით ჩამოიცილა გზიდან, გადამწყვეტ პაექრობაში კი ფრანგ რომენ დიკოსთან დამარცხდა. ალეკო მამიაშვილი (66), გიორგი ჩიქოვანი (90) და ნიკა დოლვანი (+90) მესამე ადგილებს დაყაბულდნენ.

ჩემპიონატის ბოლო დღეს გუნდური ასპარეზობა გაიმართა. ბიჭებმა 4 შეხვედრაში 20-დან მხოლოდ ერთი ორთაბრძოლა წააგეს ნახევარფინალში რუმინეთთან, სხვებს კი მშრალად მოუგეს: თავიდან აზერბაიჯანს და თურქეთს 5:0 სძლიეს, რუმინეთს 4:1 აჯობეს, გადამწყვეტ პაექრობაში კი უნგრელებიც 5:0 დაჯაბნეს. მესამე ადგილები რუსებსა და ფრანგებს ხვდათ.

ჩვენმა გოგონებმა სტარტზევე დაძაბული ბრძოლა იტალიასთან 2:3 დათმეს. პირველი-მესამე ადგილები ასე განაწილდა: 1. საფრანგეთი, 2. სერბეთი, 3. ხორვატეთი, ჰოლანდია.

**ლაშა დიდია**

**სურათზე:** მარცხნიდან — კახა მოცრაძე, ეთერ ლიპარტელიანი, გია თენაძე.

„ევრო — 2016“

# ზოგის ბამბაც ჩხრიალებს

**მაშ ასე, ევროპის XV ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშებენ: პორტუგალია — უელსი (6 ივლისი, ლიონი), საფრანგეთი — გერმანია (7 ივლისი, მარსელი).**

თუმცა, ფრანგულ ფორუმს ისლანდიელთა სახით ისეთი მშვენება ჰყავდა, სამშობლოში გმირებად რომ დაბრუნდნენ.

თუ კურიოზებზე ვისაუბრებთ, აღსანიშნავია პორტუგალიელთა მაგალითი, რომლებიც უძლიერესთა კვარტეტში ისე მოხვდნენ, რომ აქამდე გამართული არც ერთი მატჩი არ მოუგიათ ძირითად დროში.

არანაკლებ გასაოცარია „სკუადრა აძურას“ ქრონიკული „მანდრაჟი“, რომელმაც ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და უმაღლესი რანგის ტურნირებზე (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები) უკვე მეშვიდედ წააგო ფსიქოლოგიური ომი (ანუ პენალტების სერია).

რაც შეეხება მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ გერმანიას, მასპინძლებთან შეხვედრაში მას დისკვალიფიცირებული ჰუმელსი და ტრავმირებული გომესი დააკლდებიან, ხოლო ასევე ლაზარეთის ბინადრების შვაინშტაიგერისა და ხედირას ბრძოლაში ჩაბმა სათუოდ რჩება.



და მაინც, რომელი გუნდი შეგვიძლია მივიჩნიოთ დარჩენილთაგან ფავორიტად?

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ალბათ, საფრანგეთი, მაგრამ მოდით, ნურც „ტიომნაია ლოშადკა“ უელსს გამოვრიცხავთ ბეილის სარდლობით. ბოლოს და ბოლოს, მან ხომ მრისხანე ბელგია დააჩოქა.

**მეოთხედფინალები**

პორტუგალია — პოლონეთი 1:1 (პენალტებით — 5:3), უელსი — ბელგია 3:1, გერმანია — იტალია 1:1 (პენალტებით — 6:5), საფრანგეთი — ისლანდია 5:2.

**ბომბარდირი:** გრიზმანი (საფრანგეთი) — 4 გოლი.

**გიორგი შოთაძე**

ძალოსნობა

# ჩხეიძე და გოტფრიდი - კვარცხლბეკზე





**თბილისში დამთავრდა ახალგაზრდა ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ასპარეზობის ფინიშზე ქართველმა სპორტსმენებმა ორჭიდში თითო ოქროს და ვერცხლის მედალი მოიპოვეს.** 105 კილოგრამ წონითი კატეგორიის ვაჟებში გიორგი ჩხეიძემ მესამე ცდაზე 172 კილო აიტაცა და ოქროს მედალი დაიმსახურა, ირანელმა ალირეზა დეგჰანგანფაროკმამ კი კილოგრამით ნაკლები დაძლია და ვერცხლის მედალს დაეუფლა. აკვრაში კონკურენტები 207 კილოს დასჯერდნენ და II-III ადგილები გაიყვეს, რუსმა ნიკიტა სოლოვეიმ კი 210 კილოგრამით პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ ორჭიდში მესამე ადგილს ვერ ასცდა, რადგან ატაცში მხოლოდ 165 კილო დაძლია.

ანასტასია გოტფრიდი (+75) საქართველოს სახელით მეორე წელიწადია ასპარეზობს. რამდენიმე თვის წინათ ნორვეგიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მან ორჭიდში ვერცხლის მედალი მოიპოვა. თბილისში ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატზეც მეორე იყო — ჩვენებურს ტაილანდელმა დუანგსკრონ ჩაიდემ აჯობა. ანასტასიამ ატაცში 116 კილოთი ოქრო დაიმსახურა, ხოლო აკვრასა და ორჭიდში ვერცხლის მედალი ხვდა.

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები 105 კგ.**

1. **გიორგი ჩხეიძე** (საქართველო) — 379 (172+207)
2. ალირეზა დეგჰანგანფაროკმა (ირანი) — 378 (171+207)
3. ნიკიტა სოლოვეი (რუსეთი) — 375 (165+210).

... 5. **დათო ხეცურიანი** (საქართველო) — 370 (167+203)

**გოგონები 75 კგ.**

1. დუანგსკრონ ჩაიდე (ტაილანდი) — 265 (115+150),
2. **ანასტასია გოტფრიდი** (საქართველო) — 256 (116+140),
3. მერსი ოპეიემი ბრაუნი (დიდი ბრიტანეთი) — 236 (105+131).

**ლექსო ცინცაძე**

ჭადრაკი

# განახლებული რეიტინგით

**ფიდემ წინა თვის შედეგების გათვალისწინებით მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. მანდილოსანთა პირველ ათეულში შედიან: მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2653), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2578), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2575), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2549), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2545), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2545), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2536), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2530), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2529), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2526).**



**ასეულში, ძაგნიძის გარდა, კიდევ შვიდი ქართველია:** 17. ლელა ჯავახიშვილი (2487), 26. ნინო ბაციაშვილი (2466), 32. ბელა ხოტენაშვილი (2454), 57. ნინო ხურციძე (2413), 59. სალომე მელია (2410), 83. ინგა ჭარხალაშვილი (2379), 86. სოფიკო გურამიშვილი (2376).

ვაჟთა ელიტა ასეთია: მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2855), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2812), ფაბიანო კარუანა (აშშ, 2810), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2798), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2792) ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2787), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2785), დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2778), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2773), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2770), უესლი სო (აშშ, 2770). დიდოსტატი ბადურ ჯობავა 2669 პუნქტით 71-ე ადგილზეა.

**გივი გაგუა**

ესეც 38-ე!

# ნიკოლოზ ბასილაშვილმა რიოს ლიცენზია მოიპოვა

**საქართველოს პირველმა ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა რიოს თამაშების ლიცენზია მოიპოვა. ინფორმაცია დაადასტურეს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში. ეს საქართველოს გუნდისთვის რიგით 38-ე ლიცენზიაა.**



ბასილაშვილი რიოში გამორიცხვის მეთოდით მოხვდა, ანუ ზოგიერთი ქვეყნის ჩოგბურთელმა ოლიმპიადაზე გამგზავრებაზე უარი თქვა, რამაც ქართველ ჩოგბურთელს ბრაზილიაში გამოსვლის შესაძლებლობა მისცა. ცხადია, ეს ფაქტი ბასილაშვილის წარმატებას არ აკნინებს, რადგან ქართველი სალიცენზიო ზონასთან სიახლოვეს ყოფნას ახერხებდა და საბოლოოდ მიზანსაც მიაღწია.

დამოუკიდებლობის შემდეგ ბასილაშვილი იქნება პირველი ვაჟი ჩოგბურთელი, ვინც საქართველოს სახელით ოლიმპიადაზე გამოვა. ამის შანსი ჰქონდა 1996 წელს ირაკლი ლაბაძეს, მაგრამ მას ატლანტაში აღარ უთამაშია. შეგახსენებთ, XXXI ოლიმპიური თამაშები რიო დე-ჟანეიროში 5-21 აგვისტოს გაიმართება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# ფერნანდა „ბოტაფოგოს“ გაუნაწყენდა

**მგონი არ დარჩენილა არც ერთი ქვეყნის (სადაც ფეხბურთი ყველაზე განვითარებული და პოპულარული სპორტის სახეობაა) ლამაზმანი, რომელიც თავის საყვარელ გუნდს გულშემატკივრობს და მის გამო თავის ძუძუ-თეძო-საჯდომს არ ამზეურებს საქვეყნოდ, — აქაოდა ისეთი გულუხვი ვარ, მსხვერპლად ვწირავ ჩემი სხეულის საუკეთესო ადგილებსო. ამ ამბავში პაწაწინა სიმართლის ნამცეცი მართლაც ურევია, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ არაერთ ცნობილ თუ უცნობ ფეხბურთელს აუკენკავს ეს ნამცეცები და კარგადაც დანაყრებულა.**

ასეთ მეთეძოვეთა (მომიტევეთ ასეთი გამოთქმისთვის) სიას განეკუთვნება ბრაზილიელი ძუძუ-თეძო-გავა გამომზეურებული ფერნანდა დ'ავილა, — ძალოსანი, მოცეკვავე და მოდელი, არაერთგზის სილამაზის კონკურსგამოვლილი და ამჟამად „ბოტაფოგოს“ ფანი. ფერნანდა, რომელსაც თავის სამშობლოში შავი იუმორით წელწვრილთა დედოფალს ეძახიან, ცოტა უკმაყოფილოც კია, რომ მიუხედავად მისი თავგადაკლული გულშემატკივრობისა, კლუბის მესვეურებს არასოდეს არ მიუწვევიათ და ამაოდ ღვრის ოფლს ეროტიკულ ფოტოსესიებზე...



**როსტომ რაჭველიშვილი**

# ქართული ღვინის ფესტივალი შანხაისა და ჰონგ-კონგში

**ფესტივალს ორი დღის განმავლობაში შანხაის „რუზველტის სახლი“ და ჰონგ-კონგის სასტუმრო „კორდისი“ მასპინძლობდა. ღონისძიება სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და საერთაშორისო მარკეტინგული კომპანია „Meiburg Wine Media“-ის ორგანიზებით ჩატარდა.**

ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ქართული ღვინის მასტერკლასებსა და დეგუსტაციებს კომპანია „Meiburg Wine Media“-ის ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი უძღვებოდა. ფესტივალს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი და სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ.



ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის მოხმარება და ცნობადობა სულ უფრო და უფრო იზრდება.

ღვინის მაგისტრმა დებრა მეიბურგა ქართული ღვინის გამორჩეულობაზე ისაუბრა.

ქართული ღვინის ფესტივალს მრავალი ვიზიტორი ესტუმრა: ადგილობრივი მედიის, ღვინის ინდუსტრიის, სასტუმროებისა და რესტორნების, იმპორტიორი კომპანიების, ღვინის საგანმანათლებლო, ღვინის მარკეტინგული კომპანიების წარმომადგენლები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის ჩინეთის ბაზარზე.

მთელი დღის განმავლობაში სტუმრები ეცნობოდნენ ქართული ღვინის ისტორიასა და კულტურას, აგემოვნებდნენ ქართულ ღვინოებს ადგილობრივ პოპულარულ კერძებთან ერთად.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული ღვინის კომპანიების სხვადასხვა სტილის ღვინოები: **„ბაგრატიონი“, „შატო მუხრანი“, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, „GWS“, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, „კახური ღვინის მარანი“, „მეღვინეობა ხარება“, „მილდიანის „უსახელაურის ვენახები“.**

ჰონგ-კონგში ვიზიტის დროს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა ჩინეთში მაია ცქიტიშვილმა შეხვედრები გამართეს ჰონგ-კონგის ღვინის აკადემიის წარმომადგენელთან ქრის ლაისთან (Cris Lai) და ტერსინა შეისთან (Tersina Shieh), რომელიც არის ღვინის კონსულტანტი, მარკეტოლოგი, კულინარიისა და ღვინის შეხამების მრჩეველი და ბლოგერი. შეხვედრებზე განხილული იყო ქართული ღვინის ჩინეთის ბაზარზე გავრცელებისა და პოპულარიზაციის საკითხები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

**მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით, ჩინეთში ექსპორტირებულია 1,9 მლნ ბოთლი ღვინო, რაც 148%-ით აღემატება გასულის წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.**

## სულთათანა

# ზაზა სიხარულიძე



გარდაიცვალა ინვალიდთა მოძრაობის ფუძემდებელი საქართველოში, ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) დამაარსებელი და ლიდერი **ზაზა სიხარულიძე**.

დაიბადა 1960 წლის 18 აპრილს, ქ. ბათუმში, გამოჩენილი ისტორიკოსის, აკადემიკოს იური სიხარულიძის ოჯახში.

1977 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის 134-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1982 წელს – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი სემიტოლოგიის სპეციალობით, პროფესიით – ფილოლოგ-აღმოსავლეთმცოდნე და იურისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, საქართველოს ტექნოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრად, „ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიისა და ეროვნული ინსტიტუტის ნამდვილ წევრად.

1998-2012 წლებში იყო თბილისის ბიზნესისა და სამართლის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, ოთხი წიგნისა და 800-მდე პუბლიკაციის (თეორიულ-კონცეპტუალური ხასიათის შრომები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, ლექსები, თარგმანები) ავტორი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1976 წლიდან თბილისის ერთ-ერთ სპეციალიზებულ საწარმოში. 1985 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლად.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება 1978 წლიდან. იყო საქართველოს 1992-95 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი.

1989 წელს დააარსა საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (პოლიტიკური პარტია) და სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია), რომლის უცვლელი პრეზიდენტი და ლიდერი იყო თავადვე 25 წლის განმავლობაში, ხოლო 1991 წლიდან იყო გაზეთ „ღვთისშვილის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი.

1990 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული ფორუმისა და ეროვნული კონგრესის წევრად, საქართველოს ეროვნული კონგრესის სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრად, 1999 წელს კი – მისივე ინიციატივით დაარსებული საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონგრესის აღმასრულებელ მდივნად. იყო არაერთი სახელმწიფო და სამთავრობო კომისიისა და საბჭოს წევრი.

მონაცემები ღვთისშვილთა კავშირისა და მისი ფუძემდებლის საქმიანობის შესახებ ასევე შეტანილია აშშ-ში გამომავალ ისეთ ავტორიტეტულ და პრესტიჟულ გამოცემაში, როგორიცაა „ასოციაციათა ენციკლოპედია: უცხოური ორგანიზაციები“ (1996 და 1997 წლების გამოცემები).

მიუხედავად იმისა, რომ მას გადატანილი ჰქონდა ცერებრალური დამბლა და ბავშვობიდანვე იყო პირველი ჯგუფის ინვალიდი (მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი), სამაგალითო გახლდათ მისი სულიერი მხნეობა და გაუტეხლობა, შესანატრი შრომისმოყვარეობა და დასახული მიზნისკენ შეუპოვარი სწრაფვა, პიროვნული პატიოსნება და მოქალაქეობრივი პრინციპებისადმი უკომპრომისო ერთგულება. ამიტომაც, თანამებრძოლებთან ერთად, იგი ყოველთვის იყო გარემოცული საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით.

**სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია);**
**თბილისის ბიზნესისა და სამართლის საერთაშორისო უნივერსიტეტი;**
**საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემია;**
**ფაზისის მეცნიერებათა აკადემია;**
**საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია;**
**ცხუმ-აფხაზეთის ინვალიდთა კავშირი;**
**სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის პრეზიდიუმი;**
**საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება.**

**პანაშვიდი 5, 6 VII, გამოსვენება 7 VII, 14 სთ. სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) ოფისიდან – კონსტიტუციის ქ. №2.**

## კიბერხულიგანი პასუხისგებაში მისცეს

**შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ბრალდებით, 1968 წელს დაბადებული ელგუჯა კ., 1959 წელს დაბადებული კარლო ნ. და 1987 წელს დაბადებული ვახტანგ კ. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.**




ბრალდებულებმა, წინასწარი შეთანხმებით, ინტერნეტბანკში სამი მოქალაქე დაარეგისტრირეს, რომლებსაც ერთ-ერთ ბანკში ანგარიშები ჰქონდათ. შემდეგ კი მათ ინტერნეტბანკის მონაცემები, საზღვარგარეთიდან თანხის ჩარიცხვის საბაბით, მოტყუებით გამოართვეს.

ბრალდებულებმა თბილისში, ერთ-ერთ ინტერნეტ კაფეში, აღნიშნული მოქალაქეების ნებართვის გარეშე, მათი სახელებით, ინტერნეტბანკის საშუალებით, სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებიდან სესხი აიღეს და ერთმანეთში გადაინაწილეს.

მოქალაქეებისთვის მიყენებულმა ზარალმა 1650 ლარი შეადგინა.

სამართალდამცველებმა შესაბამისი დოკუმენტაცია ნივთმტკიცებად ამოიღეს.

## თავდასხმა „ლიბერთი ბანკის“ ფილიალზე

**ქუთაისში, ბუხაიძის №20-ში მდებარე „ლიბერთი ბანკის“ ფილიალს სამი ნიღბიანი და შეიარაღებული პირი თავს დაესხა. შემთხვევა გუშინ დილით მოხდა.**

გავრცელებული ინფორმაციით, უცნობმა პირებმა თანხის წაღება ვერ მოახერხეს, შემთხვევის დროს ბანკში ერთი თანამშრომელი იმყოფებოდა. ნიღბიანები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

## შვილმა მამა ცივი იარაღით დაჭრა

**შემთხვევა თელავის რაიონის სოფელ კისისხევში გვიან ღამით მოხდა. დაშავებულს ჭრილობა მუცლის არეში აქვს მიყენებული. მას სამედიცინო დახმარება თელავის რაიონულ საავადმყოფოში გაუწიეს. ადგილობრივების ინფორმაციით, მამა-შვილი, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. წინასწარი ცნობით, მათ შორის დაპირისპირება ოჯახური კონფლიქტის გამო დაიწყო.**

ინციდენტის შემდეგ, 22 წლის ახალგაზრდამ შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხა.

## „დავდივარ ვალიდოლით და მუხლებზე მიდევს სახარება“



**მაგდა პაპიძის მოთხოვნით მისი სასამართლო პროცესი დაიხურა. როგორც პაპიძემ სასამართლოზე განაცხადა, პროცესები მედიით არასწორად შუქდება, რაც მსაჯულებზე გავლენას ახდენს. პაპიძის თქმით, საკანში ტელევიზორი არ აქვს და უსმენს რადიოს, სადაც პრესის მიმოხილვა გადის.**

„სირცხვილია, რასაც რადიოთი ვისმენ. მაგდა პაპიძე საღეჭი რეზინით გარეთაც არ სარგებლობდა არა თუ ციხეში. დავდივარ ვალიდოლით და მუხლებზე მიდევს სახარება. რაც პროცესზე ხდება, იმის საპირისპირო ინფორმაცია ვრცელდება მედიით, რასაც ისმენენ მსაჯულები. ძალიან მოაზროვნე მსაჯულები არიან, სააზროვნო შეკითხვები დამისვეს, გადიან გარეთ და ხვდებათ სხვა ინფორმაცია, რაც მათზე გავლენას ახდენს. რა გახდა, რომ მთავრობიდან, მედიიდან მიტევენ. ჩემი კატეგორიული მოთხოვნაა, პროცესი დაიხუროს. საქმე ეხება პირად და ინტიმურ საკითხებს. მე მოვითხოვე თავიდან მსაჯულები და მედია. არც ერთი სმს არ მაქვს დასამალი, არ მიმაჩნია, რომ ამორალური გავაკეთე რამე და არ მეთაკილება. მაგრამ მედიის გაშუქების გამო ვითხოვ დახურვას. დახურული სხდომები ნორმალურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ვისიამოვნე მსაჯულების კითხვებით, არავის მივცემ საშუალებას, მართოს ჩემი მსაჯულები“, – განაცხადა პაპიძემ.

დაცვის შუამდგომლობას პროკურორი არ დაეთანხმა, თუმცა მოსამართლემ ბრალდებულის მოთხოვნა დააკმაყოფილა და პროცესი დახურა.

**დათო ქანთარია, თენგიზ ქავთარაძე, მიხეილ სალაძე, თემურ მურღულია ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამორჩეული პიროვნების**

**სულხან თამაზის ძე მოლაშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## დღე-ღამის განმავლობაში აეროპორტისკენ ავტობუსი იმოძრავებს

4 ივლისიდან, სადგურის მოედნიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმართულებით, ღამის რეისზე 3 ავტობუსი იმოძრავებს.

„თბილისის მერიისა და სატრანსპორტო კომპანიის ინიციატივით, № 37 ავტობუსი მთელი ღამის განმავლობაში 30-წუთიანი ინტერვალით მოემსახურება როგორც თბილისის მოსახლეობას, ასევე ტურისტებს. დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დარეკეთ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ცხელ ხაზზე: 2 93 44 44“, – აცხადებენ მერიაში.



ჰიმენეის ბორკილების ტვირთი

# „გიყვარდეთ ერთმანეთი!“



**დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში დიდი ხანია, არა მარტო სტატისტიკოსების განგაშის მიზეზია, არამედ ხელისუფლების, მთელი ერის შეშფოთებასაც იწვევს. იმის გარდა, რომ ქვეყნის მოსახლეობის ლამის მესამედი საზღვარგარეთაა წასული დროებით სამუშაოდ თუ მუდმივად საცხოვრებლად, რაც, ცხადია, დემოგრაფიულ ვითარებაზე უაღრესად უარყოფითად აისახება, ბოლო მონაცემებით მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა ახალგაზრდა წყვილების ქორწინება-განქორწინებების მხრივაც.**

იმის მიუხედავად, რომ განქორწინებათა ოდენობა ამჟამად რამდენადმე შემცირებულია, ასევე დაიკლო ქორწინების რიცხოვნობამაც. განქორწინებათა და ქორწინებათა რიცხვით **თბილისი** ლიდერობს. შარშან დედაქალაქში 8 429 ქალ-ვაჟი შეუღლდა, 3 601 წყვილი კი გაიყარა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის“ მონაცემებით, ერთიანად საქართველოში 2015 წელს 29 157 წყვილი დარეგისტრირდა, რაც 7,5 პროცენტით ნაკლებია 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამავე პერიოდში ერთმანეთს გაეყარა 9 112 ცოლ-ქმარი (რაც 0,1 პროცენტით ნაკლებია წინა წელთან შედარებით).

უნდა ითქვას, რომ შეუღლებებისა და განქორწინებების ინტენსივობით გამოირჩევიან **იმერეთში, ქვემო ქართლსა და აჭარაში.**

სტატისტიკურად ქორწინება-განქორწინებათა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია დაფიქსირებული, სადაც შარშან წლის განმავლობაში შეიყარა 232 და განქორწინდა 59 წყვილი. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ 2015 წელს 3 პროცენტზე მეტად გაიზარდა ათ წელზე მეტი ხნის სტაჟის მქონე ცოლქმრული წყვილის გაყრა. ამასთან, საგანგაშოა ისიც, რომ **განქორწინებათა მთლიან ოდენობაში ყველაზე დიდი წილი 10,2 პროცენტი წყვილებზე მოდის, რომლებმაც ქორწინებაში ერთი წელიც კი არ დაჰყვეს.**

საგულისხმოა ასევე დეტექტივ ქალთა კერძო სააგენტოს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომელთა თანახმად **საქართველოში ყოველი მეორე ცოლიანი მამაკაცი ცოლს ღალატობს.** ამ მხრივ ქალბატონები გაცილებით უფრო მეტად იცავენ ზნეობის ნორმებს — **მეუღლის ერთგული არ არის გამოკითხულ მანდილოსანთა მხოლოდ 16 პროცენტი.** სააგენტოს დირექტორის **ნინო გაბრიაძის** თქმით, ცოლქმრული ღალატის თემა მარტო საქართველოს კი არა, მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიცაა აქტუალური, თუმცა ჩვენში ეს მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია. კერძოდ, საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან გაარშიყებას ღალატად არ მიიჩნევს მამაკაცთა 78 და ქალთა 21 პროცენტი. ღალატის ფაქტის დადგენის საუკეთესო გზად მანდილოსნები კერძო დეტექტიური სააგენტოს მომსახურებას მიიჩნევენ, 16 პროცენტს უფრო მეტი ნდობა ნათელმხილველთა მიმართ აქვს, 15 პროცენტს კი სიმართლის გაგება ახლობლებისგან ურჩევნია.

სტატისტიკა მოწმობს, რომ კერძო დეტექტივებს უფრო ხშირად ქალები მიმართავენ (82 პროცენტი) და, როგორც წესი, მათი ეჭვები 89 პროცენტით მართლდება. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მწარე სიმართლეს მამაკაცთა მხოლოდ 57 პროცენტი იგებს.

**ოთარ ტურაზელიძე**

ყურადღება!

## იმპერატორის საიდუმლოება:

## თქვენი წარმატების მუღამი ქალებში ნებისმიერი წლოვანებისას!



**„უკანასკნელი წლის განმავლობაში რამდენჯერმე ჩავიჭერი ქალებთან. ვერავის რჩევას ვერ ვეკითხები. პირველი შემხვედრი პროდუქტის ყიდვა კი არ მინდა. მეშინია წნევასთან დაკავშირებული პრობლემისა. როგორ მოვიქცე?“**

**გიორგი, 52 წლისა**

გიორგი, სპეციალურად მამაკაცებისთვის, რომლებსაც სურთ, ჰქონდეთ სრულფასოვანი ინტიმური ცხოვრება, შემუშავდა იმპერატორის საიდუმლოება. ეს არის 100-პროცენტიანი ნატურალური საშუალება მავნე ქიმიისა და ჰორმონების გარეშე. მის შემადგენლობაში შედის მეტად იშვიათი ჩინური სოკო კორდიცეპსი ან, როგორც მას კიდევ უწოდებენ, „ღვთიური საჩუქარი“. იგი სწრაფად აღადგენს ძალებს, გვეხმარება გავზარდოთ პოტენცია, გამძლეობა და მისცეს მამაკაცს ახალი ემოციები და შეგრძნებები. ამიტომ 5 000 წლის განმავლობაში მას იყენებდნენ მხოლოდ ჩინელი იმპერატორები. მის მოქმედებას აძლიერებს ასევე ამერიკული ჟენშენი, რომელიც მსუბუქად აფართოებს სისხლძარღვებს, უზრუნველყოფს მცირე მენჯის ორგანოებში სისხლის მიდენას, და, როგორც შედეგი, ხელს უწყობს სრულფასოვან სასქესო აქტს. აგრეთვე ჩიტიწვივა — უძლიერესი აფროდიზიაკი, რომელიც ზრდის სიახლოვის სურვილს. ყველა კომპონენტი შერჩეულია ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს სისხლძარღვთა სისტემას. იმპერატორის საიდუმლოება ასევე შეთავსებულია ალკოჰოლთან და წამლებთან. ამიტომ მისი მიღება შეუძლიათ ნებისმიერი ასაკის მამაკაცებს თავისი ჯანმრთელობისათვის ყოველგვარი ზიანის მიუყენებლად.

**ვიდრე „საიდუმლო“ წამალი თბილისში ჩამოაღწევდეს, დარეკეთ მოსკოვში 8 (800) 100-55-80.**

კაკალ გულში

# „ახალი სახე“ – უი!

● აკი „შევიცვალეთო“? ამ წუნკალ და არაკაც რომან გოცირიძესაც რო წართმევაზე უჭირავს თვალი, დანარჩენი ბობოლა ბანდიტები რა დღეში იქნებიან?

● ამ დღეებში საკუთარ თავს ჩავუტარე კვლევები და ასეთი შედეგები მივიღე:

არაფრის დიდებით არ მივცემ ხმას:

1. ოპერმუშაკ ბურჭულაძის „ვარდოვნანას“

2. ნაცმოძრაობას;

3-4 რესპუბლიკურ პარტიას და თავისუფალ დემოკრატებს;

5. კაციტაძეებს, დავითაიებს, ქარდავებს და აშშ;

6. ლეიბორისტულ პარტიას...

კვლევებს ვაგრძელებ, რა თქმა უნდა პირველი შედეგები არ შეიცვლება...

● ლევან ვარშალომიძე განაბაჟეს მისმა მომხრეებმა თუ ტრანზიტის სტიკერი მიარტყეს?

● ბათუმელებს მინდა, გკითხოთ — შეკრიბა „ურიცხვი ლაშქარი“ ვარშალომიძემ თუ ისევ „რუსთავი-2“-ის ოპერატორის მსხვერპლი გავხდი მჯდომარე ტელევიზორთან ?!



● მუხრანისებური
„ძველი სახე“ ხომ — ვაია!
„ახალი სახე“ — უი!
ძველი თუ მორცხვად ტყუოდა, ახალი „ნაგლად“ ტყუის!

● ჩატაევის საქმის ამგვარმა წარმოჩენამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ ნაცმოძრაობა და „რუსთავი-2“ რუსული დაზვერვის რეზიდენტურაა საქართველოში და ყველა ის პოლიტიკური პარტია თუ პერსონა, რომელიც „რუსთავი-2“-ს მხარს უჭერს, რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს!

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

ცინცხალი ანეკდოტები

— **როგორ** ვაიძულოთ ქალთა საზოგადოება, რომ ფეხბურთს უყუროს?

— ფეხბურთელებს საცვლები გავხადოთ.

* * *

— **მირჩიე**, რა ვუყიდო ცოლს დაბადების დღეზე?

— არ სჯობია, მას ჰკითხო?

— რას ამბობ, მაგდენი ფული სადა მაქვს.

* * *

**სვანი** ცოლის მოყვანას დააპირებს, დედა ურჩევს:

— ისეთი ქალი მოიყვანე, შვილო, ცოლად, რომ მტერს მახვილით დახვდეს და მოყვარეს სასმელით გაუმასპინძლდეს.

ცოტა ხანში დედამისთან პოლიცია მიდის:

— თქვენი შვილი სად არის?

— ცოლის მოსაყვანადაა წასული!

— ჰოდა, რომ დაბრუნდება, გადაეცით, ქართვლის დედა ადგილზე დააბრუნოს.

* * *



**მიხო** ექიმთან მივა.

— რაღაც არ მომწონხარ, მიხო, ეუბნება ექიმი.

— დედიშენისამ, შენ ხომ ძაან გულზე მეხატები.

* * *

— **ბიჭიკია**, ძამა, შენზე მითხრეს ცალყვერაოო — ქუთაისელის გაშაყირებას ცდილობს გურული.

— ილარიონა, ბუუო, შენ ცოლს გადაეცი, სახლში ენის მიტანას თავი დაანებოს.

* * *

**ოცი** წლის შემდეგ სასაფლაოზე.

— პარმენა მასწავლებელო, ხომ ვყოფილვარ სწორი, სსრკ ისტორიას რომ არ ვსწავლობდი...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:

6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.370; ევრო - 2.628;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.159;
100 რუბლი - 3.665; თურქული ლირა - 0.814;
აზერბაიჯანული მანათი - 1.514;
1000 სომხური დრამი - 5.975

**ამინდი 5 ივლისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +15, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +10, | დღე +27 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +17, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +13, | დღე +31 |
| თბილისი: | ღამე +18, | დღე +31 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE